




შენაბავისობის აუდიტის ანგარიში



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

“ვაგბაძე”

**ადგილობრივი თვითმმართველი
ერთეულების ბიუჯეტების აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი
გიორგი მამრიკიშვილი**


“ 09 ” “ 01 ” 2019 წელი
N 5/36

ეგზ: N:1

**ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის
2016-2017 წლების ბიუჯეტებით
გათვალისწინებული პროგრამების
შესაბამისობის აუდიტის ანგარიში**

სარჩევი	
გამოყენებული ტერმინები და შემოკლებები.....	3
შემაჯამებელი მიმოხილვა და რეკომენდაციები.....	4
შესავალი.....	9
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა.....	9
აუდიტორის პასუხისმგებლობა.....	9
აუდიტის საგანი.....	10
აუდიტის მასშტაბი.....	10
აუდიტის კრიტერიუმები.....	10
აუდიტის მიზანი.....	11
აუდიტის მეთოდოლოგია.....	11
ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ.....	11
აუდიტის მიგნებები.....	14
ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია.....	14
უხარისხოდ შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტები.....	14
გამარტივებულ შესყიდვებში არსებული შეუსაბამობები.....	31
შესყიდვების მართვა.....	33
პრეტენდენტების არასამართლიანი დისკვალიფიკაცია.....	33
საპროექტო დოკუმენტაციის ხარვეზი და ავანსის გაცემა.....	37
საბიუჯეტო პროცესი.....	41
ფინანსური რესურსების მართვის ხარვეზები.....	41
პრიორიტეტების დოკუმენტის შედგენაში არსებული შეუსაბამობები.....	42
ბიუჯეტის დაგეგმვაში გამოვლენილი ნაკლოვანებები.....	42
ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შედგენაში არსებული ხარვეზები.....	44
საბიუჯეტო კლასიფიკაციაში არსებული შეუსაბამობები.....	46
წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება.....	47
კანონდარღვევით გაცემული დანამატი.....	47
საჯარო მოხელეების უკანონო განთავისუფლება და სასამართლოს გადაწყვეტილებით ანაზღაურებული თანხები.....	48
საკრებულოს წევრებზე დაუსაბუთებლად ანაზღაურებული თანხები.....	50
სუბსიდია.....	53
ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგება.....	58
საპროცენტო შემოსავლები.....	60
შიდა აუდიტი.....	61
წინა აუდიტის დროს გამოვლენილი დარღვევები.....	64
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი.....	65

გამოყენებული ტერმინები და შემოკლებები

-)/ მუნიციპალიტეტი - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი;
-)/ მერია - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია;
-)/ საკრებულო - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო;
-)/ ა(ა)იპ - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი;
-)/ შპს - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება;
-)/ ი/მ - ინდივიდუალური მეწარმე.

შემაჯამებელი მიმოხილვა და რეკომენდაციები

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების ხარჯვის შესაბამისობის აუდიტი. აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი სახის ნაკლოვანებები:

- 1) ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვასა და კონტროლში არსებულმა მართვის სისუსტეებმა სამ შემთხვევაში გამოიწვია უხარისხოდ შესრულებული სამუშაოების ჩაბარება. შედეგად, მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტებით მოსახლეობა ვერ სარგებლობს, ერთ შემთხვევაში კი ზიანი მიადგა მოსახლეობის ქონებას. მერიის მიერ დიდი ოდენობით საბიუჯეტო სახსრები დახარჯულია არაეფექტიანად.
- 2) მუნიციპალიტეტში არსებული კონტროლის სისუსტეებისა და ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელების პროცესის არასწორად წარმართვის გამო, ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული მასალის ნაცვლად გამოყენებულია დაბალი ხარისხისა და ღირებულების მასალა. შედეგად, მნიშვნელოვნად გაუარესდა შესრულებული სამუშაოების ხარისხი, ექსპლუატაციის ხანგრძლივობა და ზიანი მიადგა მუნიციპალიტეტის ინტერესებს. მერიის მიერ დიდი ოდენობით საბიუჯეტო სახსრები ზედმეტად იქნა ანაზღაურებული.
- 3) გამოვლინდა, რომ შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების გარკვეული ნაწილი დაზიანებულია. მუნიციპალიტეტს არ მიუმართავს მიმწოდებლებისათვის ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებულ საგარანტიო ვადაში ხარვეზების გამოსწორების მოთხოვნით. შედეგად, მოსახლეობამ ვერ მიიღო პროექტით გათვალისწინებული სარგებელი გრძელვადიან პერიოდში.
- 4) მუნიციპალიტეტმა რიგი სამშენებლო სამუშაოები შეისყიდა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. ობიექტები ჩაბარებულია და ანგარიშსწორება განხორციელებულია ფაქტობრივი დანახარჯების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე, რაც ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.
- 5) მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისიამ, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას, 4 შემთხვევაში არასწორად მოახდინა პრეტენდენტების

დისკვალიფიკაცია. შედეგად, გაიზარდა შესყიდვის ღირებულება, რაც არაეკონომიურად განკარგულ საბიუჯეტო რესურსს წარმოადგენს.

- საბიუჯეტო პროცესის წარმართვაში არსებულმა მართვის სისუსტეებმა, წარმოშვა სხვადასხვა ხასიათის ხარვეზები მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის შედგენაში, ბიუჯეტის დაგეგმვაში, ბიუჯეტის წლიური შესრულების ანგარიშის შედგენასა და საბიუჯეტო კლასიფიკაციაში.
- ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მიერ მაღალი თანამდებობის პირზე დანამატი გაცემულია მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით. მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შედეგად ბიუჯეტიდან ზედმეტად დაიხარჯა საბიუჯეტო სახსრები.
- მუნიციპალიტეტის საკრებულოს არათანამდებობის პირებზე უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები ანაზღაურებულია მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით, შესაბამისი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე.
- ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტმა დააფუძნა ისეთი იურიდიული პირები, რომელთა ფუნქციები დუბლირებულია სახელმწიფო და ადგილობრივი ორგანოების მიერ შესასრულებელ საქმიანობასთან. ამასთან დოკუმენტურად ვერ დასტურდება მათ მიერ განხორციელებული რაიმე სახის აქტივობები. შედეგად იურიდიული პირების შექმნაში, დაფინანსებასა და კონტროლში არსებულმა მართვის სისუსტეებმა გამოიწვია საბიუჯეტო სახსრების არაეფექტიანი ხარჯვა.
- ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში ძირითადი საშუალებების და მატერიალური ფასეულობების აღრიცხვაში არსებული მართვის სისუსტეების შედეგად, არ არის შედგენილი ორგანიზაციის 2016-2017 წლების და წინა წლების პერიოდული და წლიური ფინანსური ანგარიშგებები. აგრეთვე, არ ჩატარებულა ძირითადი საშუალებების და მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაცია.

გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებების საპასუხოდ აუდიტის სამსახურმა გასცა შემდეგი რეკომენდაციები:

რეკომენდაცია №1: მერიამ შეისწავლოს რუსთაველის რკალზე ტროტუარის კეთილმოწყობის სამუშაოები, გამოავლინოს პასუხისმგებელი პირები და მათ მიმართ გაატაროს კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი ღონისძიებები.

რეკომენდაცია №2: მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანომ შეიმუშაოს და დანერგოს სამშენებლო სამუშაოების მიღებისა და ჩაბარების წესი, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და სტანდარტების დაცვით სამუშაოების შესრულებისათვის საჭირო კონტროლის მექანიზმები. ამასთან მნიშვნელოვანია დაინერგოს შესრულებულ პროექტებზე უწყვეტი მონიტორინგის სისტემა. ნათლად უნდა განისაზღვროს, კონტროლის თითოეულ ეტაპზე ჩასატარებელი სამუშაოები და კონტროლის განმახორციელებელი პირები, მათი მოვალეობები და პასუხისმგებლობა. აღნიშნული უზრუნველყოფს კონტროლის მექანიზმების გამართულ ფუნქციონირებას და პროექტის შემოწმებისათვის საჭირო ყველა პროცედურის სათანადოდ წარმართვას. მუნიციპალიტეტმა გამოავლინოს პასუხისმგებელი პირები და გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები.

რეკომენდაცია №3: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიამ სამშენებლო სამუშაოების მიწოდებაზე გაფორმებული გამარტივებული შესყიდვის ხელშეკრულებების ფარგლებში, ანგარიშსწორება არ განახორციელოს მიმწოდებლების მიერ ფაქტობრივი დანახარჯების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე. ამ მიზნით, მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიზანშეწონილია შეიმუშაოს გამარტივებული შესყიდვის გზით განსახორციელებელი სამშენებლო სამუშაოების ფაქტობრივი დანახარჯების დათვლის მეთოდი და კონკრეტული წესი, რომელიც შესაბამისობაში იქნება მოქმედ კანონმდებლობასთან. საჭიროა მუნიციპალიტეტმა მიმწოდებლებისაგან მოითხოვოს შესაბამისი დოკუმენტაცია და გაიანგარიშოს ფაქტობრივი ხარჯები. შეუსაბამოების არსებობის ან დოკუმენტების წარმოუდგენლობის შემთხვევაში, გაატაროს სათანადო სამართლებრივი ღონისძიებები, მათ შორის, მუნიციპალიტეტის შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიმართ, რომლებსაც ევალებოდათ ანგარიშსწორების აღნიშნული პრინციპის დაცვა.

რეკომენდაცია №4: მერიამ სახელმწიფო შესყიდვების პროცესი წარმართოს ისე რომ უზრუნველყოს პრეტენდენტების მიმართ ერთგვაროვანი, არადისკრიმინაციული მიდგომა. ამ მიზნით მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისიამ დაინერგოს კონტროლის დამატებითი მექანიზმები და არ დაუშვას კანონშეუსაბამო გადაწყვეტილებების მიღება. მუნიციპალიტეტმა შეისწავლოს კონკრეტული ფაქტები, გამოავლინოს პასუხისმგებელი პირები და გაატაროს მათ მიმართ შესაბამისი ღონისძიებები.

რეკომენდაცია №5: ფინანსური რესურსების რაციონალური მართვის უზრუნველყოფის მიზნით, მუნიციპალიტეტმა საკუთარ ანგარიშზე არსებული თავისუფალი ფულადი სახსრები მიმართოს სხვადასხვა ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტების განსახორციელებლად ან დაუსრულებელი პროექტების გასაგრძელებლად. ამასთანავე, ბიუჯეტი იმგვარად დაგეგმოს, რომ არსებული თავისუფალი ნაშთი დროულად და მაქსიმალურად გამოიყენოს მოსახლეობის სასიკეთოდ.

რეკომენდაცია №6: საჭიროა მერიამ შეისწავლოს ზედმეტად გაწეული ადმინისტრაციული ხარჯების საკითხი და გამოავლინოს შესაბამისი პასუხისმგებელი პირები. მათ მიმართ, ვისი მიზეზითაც დაირღვა კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები, გაატაროს შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებები.

რეკომენდაცია №7: მუნიციპალიტეტის მერიამ საბიუჯეტო პროცესის სრულყოფილად წარმართვის მიზნით დაწეროს სათანადო კონტროლის მექანიზმები. ამასთან, მიზანშეწონილია მერიამ საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილება და შრომის ანაზღაურებისათვის გათვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნებების საერთო მოცულობის არანაკლებ 1 პროცენტი მიმართოს მოხელეთა პროფესიული განვითარებისათვის.

რეკომენდაცია №8: მუნიციპალიტეტის მერიამ გამოავლინოს დანამატის გაცემაზე პასუხისმგებელი პირები და მათ მიმართ გაატაროს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები. მერიამ უზრუნველყოს ზედმეტად გადახდილი თანხების ბიუჯეტში დაბრუნება.

რეკომენდაცია №9: მუნიციპალიტეტის მერიამ რეორგანიზაციის პროცესი დაგეგმოს და წარმართოს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, რეორგანიზაციის პროცესში გაითვალისწინოს მოსამსახურეთა პროფესიონალიზმი და კომპეტენტურობა და პროფესიული საჯარო მოხელის მობილობის წესი. ასევე მუნიციპალიტეტმა გაატაროს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიმართ, რომელთა კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებების გამო თვითმმართველობამ ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯი გასწია.

რეკომენდაცია №10: ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიამ არ აანაზღაუროს საკრებულოს არათანამდებობის პირებზე უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები, შესაბამისი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე.

მნიშვნელოვანია, რომ საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესი და პრაქტიკა, სრულ შესაბამისობაში იყოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან. აღნიშნული უზრუნველყოფს საკრებულოს წევრის არაანაზღაურებადი საქმიანობის შესახებ, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით დადგენილი პრინციპის დაცვას, ასევე საბიუჯეტო სახსრების დასაბუთებულ ხარჯვას.

რეკომენდაცია №11: მუნიციპალიტეტის მერიამ შეისწავლოს მის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების მდგომარეობა. განსაზღვროს რამდენად პასუხობს მათი საქმიანობა მუნიციპალიტეტის მიზნებსა და ამოცანებს. მნიშვნელოვანია განხორციელდეს მსგავსი ტიპის ა(ა)იპ-ის საქმიანობით მიღებული სიკეთისა და მათი ფუნქციონირებისათვის დახარჯული სახსრების ანალიზი. საჭიროების შემთხვევაში მუნიციპალიტეტმა უზრუნველყოს მსგავსი ტიპის იურიდიული პირებისა და მასში არსებული საშტატო ერთეულების ოპტიმიზაცია. აღნიშნული ხელს შეუწყობს საბიუჯეტო რესურსების ეკონომიურად და რაციონალურად ხარჯვას.

რეკომენდაცია №12: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურმა საქმიანობა წარმართოს ისე, რომ უზრუნველყოს თვითმმართველი ერთეულის საქმიანობის გაუმჯობესება არსებული რისკების შეფასებითა და მოქმედ კანონმდებლობასა და მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის დადგენის გზით. ამასთანავე, შეიმუშაოს რეკომენდაციები მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით.

შესავალი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე.

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის, აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშეუსაბამოებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI 4000) შესაბამისად.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს. სტანდარტი ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული საქმიანობა არ შეიცავს მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტორული პროცედურები წარიმართა აუდიტორის პროფესიულ მსჯელობებზე დაყრდნობით გონივრული რწმუნების მისაღებად, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშეუსაბამოების რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. მიგვაჩნია, რომ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული დასკვნების გამოსატანად.

აუდიტის საგანი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტის მასშტაბად განისაზღვრა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მიერ 2016-2017 წლებში ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების ფარგლებში მუნიციპალიტეტის საქმიანობისა და ფინანსური რესურსების ხარჯვის მოქმედ კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობა. პროგრამების ფარგლებში გაწეული ხარჯების შესაბამისობის აუდიტმა მოიცვა მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტების გადასახდელები, ჯამში 40 831.8 ათასი ლარი.

აუდიტის კრიტერიუმები¹

აუდიტის ძირითად კრიტერიუმებად განისაზღვრა შემდეგი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები:

-)/ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი;
-)/ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი;
-)/ საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;
-)/ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
-)/ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“;
-)/ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანება „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
-)/ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის - „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო

¹ 2016-2017 წლებში მოქმედი რედაქციის მიხედვით

შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის“ დამტკიცების შესახებ“;

-)/ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“;
-)/ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“
-)/ და სხვ.

აუდიტის მიზანი

აუდიტის მიზნებია:

- ა) ჩამოყალიბდეს დასკვნა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით იმის შესახებ, რამდენად შესაბამისობაშია აუდიტის საგანი სათანადო კრიტერიუმთან, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;
- ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებისათვის ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნებისა და სადაც შესაფერისია, რეკომენდაციების შესახებ.

აუდიტის მეთოდოლოგია

აუდიტის საგნის შესასწავლად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები:

-)/ აუდიტის ობიექტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის ანალიზი;
-)/ სამართლებრივი რეაგირებების ღონისძიებების მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების შესწავლა;
-)/ ინტერვიუები აუდიტის ობიექტის თანამშრომლებთან;
-)/ მონაცემთა ანალიზი.

ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი არის დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელსაც ჰყავს აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოები, აქვს საკუთარი ქონება და ბიუჯეტი. მუნიციპალიტეტი აერთიანებს 4

ტერიტორიულ ორგანოს². თვითმმართველი ერთეულის ფართობია 65.8 კვ.კმ. მოსახლეობის რიცხოვნობა შეადგენს 45.8 ათას კაცს³.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი და საბიუჯეტო პროგრამები. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშებზე დაყრდნობით, 2016-2017 წლებში შემოსულობებმა 40,820.6 ათასი ლარი, ხოლო გადასახდელებმა 40,831.8 ათასი ლარი შეადგინა. ინფორმაცია შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების შესახებ წარმოდგენილია ცხრილში.

ცხრილი №1. ინფორმაცია შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების შესახებ (ათასი ლარი)

დასახელება	2016 წელი			2017 წელი			საკასო შესრულ ების ჯამი
	დაზუსტ ებული გეგმა	საკასო შესრულ ება	შესრულ ლ. %	დაზუსტ ებული გეგმა	საკასო შესრულ ება	შესრულ ლ. %	
შემოსულობები	23,806.9	21,651.2	90.9%	19,766.7	19,169.4	97.0%	40,820.6
შემოსავლები	21,306.9	21,290.8	99.9%	19,366.7	18,984.6	98.0%	40,275.4
არაფინანსური აქტივების კლება	500.00	360.4	72.1%	400.0	184.8	46.2%	545.2
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოყენების გარდა)	0.0	0.0	0.0%	0.0	0.0	0.0%	0.0
ვალდებულებების ზრდა	2000.0	0.0	0.0%	0.0	0.0	0.0%	0.0
გადასახდელები	24,977.5	21,974.7	88.0%	20,614.6	18,857.1	91.5%	40,831.8
ხარჯები	16,865.8	16,580.2	98.3%	14,588.0	14,159.1	97.1%	30,739.3
არაფინანსური აქტივების ზრდა	5,926.6	5,211.1	87.9%	5,725.3	4,408.1	77.0%	9,619.2
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის დაგროვების გარდა)	0.0	0.0	0.0%	0.0	0.0	0.0%	0.0
ვალდებულებების კლება	2,185.1	183.4	8.4%	301.3	289.9	96.2%	473.3
ნაშთის ცვლილება	-1,170.6	-323.5		-847.9	312.3		

მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტმა 2016-2017 წლებში ვერ შეასრულა შემოსულობებისა და გადასახდელების გეგმა. ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის მიხედვით, 2016 წელს შემოსულობების ნაწილში გეგმის შეუსრულებლობა ძირითადად განაპირობა ვალდებულებების ზრდის მუხლით მისაღები შემოსავლების შეუსრულებლობამ. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ვალდებულებების ზრდის მუხლით დაგეგმილი 2 მლნ ლარი მუნიციპალიტეტმა მიიღო⁴, მაგრამ არ ასახა საკასო შესრულებაში, რითაც დაირღვა საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნები. 2016 წელს

² mreg.reestri.gov.ge

³ www.geostat.ge; www.budgetmonitor.ge, 2017 წლის საშუალო წლიური მაჩვენებელი

⁴ მთავრობამ გამოუყო უპროცენტო სესხი

გადასახდელების გეგმა შესრულდა 88%-ით. აღნიშნული გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად რეგიონალური განვითარების ფონდიდან გამოყოფილი თანხები, მუნიციპალიტეტმა წლის ბოლომდე ვერ დახარჯა. კერძოდ, სტადიონის რეაბილიტაციაზე გამოყოფილი თანხა ვერ იქნა ათვისებული - 515.5 ათასი ლარი. გარდა ამისა, არ არის ასახული ვალდებულების კლებით დაგეგმილი 2 მლნ ლარის დაფარვა⁵.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტმა ვერც 2017 წლის გადასახდელების გეგმა შეასრულა (შესრულება 91.5%). 2016 წლის მსგავსად, 2017 წლის ბოლომდე ვერ იქნა ათვისებული ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად რეგიონალური განვითარების ფონდიდან გამოყოფილი თანხები (შესრულება 77%). კერძოდ, მალთაყვის სანაპირო ზოლის კეთილმოწყობის სამუშაოების მე-2 ეტაპზე, 2017 წელს ვერ იქნა ათვისებული 749.3 ათასი ლარი⁶.

⁵ მთავრობის მიერ გამოყოფილი უპროცენტო სესხი მერიამ დაფარა სრულად

⁶ შემსრულებელ კომპანიას სამუშაოების დასრულების ვადა გადაეწია 2018 წელს

აუდიტის მიგნებები

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

უხარისხოდ შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტები

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით შესრულებული ინფრასტრუქტურული სამუშაოები უნდა იყოს ხარისხიანი, მისგან მიღებული შედეგი დადებითად უნდა აისახებოდეს მოსახლეობაზე და გონივრულ პერიოდში შესაძლებელი უნდა იყოს ამ შედეგით სარგებლობა. ინფრასტრუქტურული პროექტების გრძელვადიან პერიოდში სარგებლობა დამოკიდებულია შესრულებული სამუშაოების ხარისხზე. ამ მიზნით მუნიციპალიტეტი ვალდებულია ჩაიბაროს ისეთი სამუშაოები, რომლებიც შეესაბამება სამშენებლო ნორმებითა და სტანდარტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. აღნიშნულზე რწმუნების მიღება მუნიციპალიტეტს შეუძლია, როგორც შიდა კონტროლის სისტემის გამართვით, ასევე სამუშაოების ხარისხზე შესაბამისი ექსპერტიზის ჩატარებით.

მიმწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულები ითვალისწინებს შესრულებული სამუშაოების საგარანტიო ვადას. აღნიშნულ პერიოდში დაზიანებების გამოვლენის შემთხვევაში, მუნიციპალიტეტი ვალდებულია მოსთხოვოს მიმწოდებელს ხარვეზების გამოსწორება მისივე ხარჯებით.

რუსთაველის რკალის ტროტუარის კეთილმოწყობაში არსებული ნაკლოვანებები

გამოვლენილი გარემოება: 2015 წლის აპრილში მუნიციპალიტეტმა ქალაქ ფოთში რუსთაველის რკალის ტროტუარის კეთილმოწყობის სამუშაოების შესყიდვაზე, ხელშეკრულება გაუფორმა შპს „Engineering Services Company“-ს, ღირებულებით 1,369.9 ათასი ლარი⁷. ხელშეკრულების მიხედვით, სამუშაოების დასრულების ვადად განისაზღვრა 2016 წლის 1 სექტემბერი.

პროექტის შესრულების პროცესში წარმოიშვა სხვადასხვა წინააღმდეგობები, კერძოდ საჭირო გახდა ტროტუარზე არსებული ხეების გადარგვა, მოჭრა, სამუშაოების დამატება და სხვა. აღნიშნული მიზეზის გამო ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილებები და საბოლოოდ სახელშეკრულებო ღირებულება დაკორექტირდა 1,503.6 ათას ლარზე. მიმწოდებელმა სამუშაოები დაასრულა 2016 წლის 10 ოქტომბერს⁸.

შესწავლით ირკვევა, რომ ხელშეკრულება არ ითვალისწინებდა შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზას. პროექტის სათანადოდ შესრულებისათვის

⁷ SPA 150005174

⁸ მერიამ მიმწოდებელს ვადის გადაცილების გამო დააკისრა პირგასამტეხლო, თანხით 1.5 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის მიერ განსაზღვრული იყო ერთადერთი კონტროლის მექანიზმი - ხელშეკრულების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირის⁹ მიერ პროექტის ზედამხედველობა. ზედამხედველის მიერ მომზადებული დასკვნა წარმოადგენდა სამუშაოების საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველს. აღნიშნულ პირს უნდა გაეკონტროლებინა პროექტის მიმდინარეობა, შეემოწმებინა შესრულებული სამუშაოების მოცულობები და განესაზღვრა მათი შესაბამისობა სახელშეკრულებო მოთხოვნებთან. სამუშაოების ხარისხის დასადგენად, განსაზღვრული იყო მშენებლობის პროცესში გამოყენებული მასალების და ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტაციის შემოწმება. შესწავლით ირკვევა, მიმწოდებელს არ აქვს წარმოდგენილი გამოყენებული მასალის ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტები. შესაბამისად მუნიციპალიტეტის მიერ შესრულებული სამუშაოების ხარისხი შესწავლილი არ არის. მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოგვიდგინა დოკუმენტური მტკიცებულება, აკმაყოფილებს თუ არა პროექტი ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და შეესაბამებოდა თუ არა შესრულებული სამუშაოების ხარისხი გადახდილ ფასს.

წარმოდგენილი მონაცემებით, მიმწოდებელს ხელშეკრულების პირობებით ევალუბოდა რუსთაველის რკალის ტროტუარის კეთილმოწყობისათვის ხელოვნური გრანიტის ფილების გამოყენება. მიმწოდებელმა შესრულებულ სამუშაოების აქტებში, გამოყენებულ მასალად მიუთითა ხელოვნური გრანიტის ფილა. მუნიციპალიტეტმა ჩაიბარა შესრულებული სამუშაოები, რითაც დაადასტურა მისი შესაბამისობა ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან და მიმწოდებელს აუნაზრაურა 1,503.5 ათასი ლარი.

სამუშაოები მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან მალევე დაზიანდა. მუნიციპალიტეტმა მიმართა მიმწოდებელს და მოსთხოვა ხარვეზების გამოსწორება. შპს „Engineering Services Company“-მ საკუთარი ხარჯებით უზრუნველყო დაზიანებული ფილების შეცვლა. 2018 წლის 12 ივნისს აუდიტის ჯგუფმა, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერა რუსთაველის რკალზე ტროტუარის კეთილმოწყობის სამუშაოები. დათვალიერებით გამოვლინდა, რომ ტროტუარი ნაცვლად გრანიტის ფილებისა, კეთილმოწყობილია ბეტონის ფილებით.

⁹ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის მშენებლობის, ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტის, კეთილმოწყობის, ურბანული განვითარების, არქიტექტურისა და ადმინისტრაციული ზედამხედველობის სამსახური.

სურათი №1: რუსთაველის რკალის ტროტუარი



წარმოდგენილი მონაცემებით, 2017 წლის 24 აპრილს რუსთაველის რკალის ტროტუარის კეთილმოწყობის სამუშაოებს ჩაუტარდა ექსპერტიზა¹⁰. ექსპერტიზას უნდა დაედგინა რა სახის ფილები იყო გამოყენებული ტროტუარის კეთილმოწყობისათვის. ასევე განესაზღვრა შეესაბამებოდა თუ არა მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოების აქტებში წარმოდგენილი მონაცემები, რეალურად შესრულებულ სამუშაოებს.

ექსპერტიზის დასკვნით, ტროტუარზე არ არის დაგებული ხელოვნური გრანიტის ფილები, ტროტუარის კეთილმოწყობისათვის გამოყენებულია ბეტონის ფილა. შესაბამისად, შესრულებული სამუშაოების ღირებულება შესამცირებელია გრანიტის ფილებისა და მისი მოწყობის ღირებულებით, ჯამში 713.3 ათასი ლარით. ექსპერტიზით ასევე შემოწმდა ტროტუარზე დაგებული ბეტონის ფილების ხარისხიც. დასკვნის მიხედვით, ტროტუარზე დაგებული ბეტონის ფილების ნაწილი, ღირებულებით 290.6 ათასი ლარი, უხარისხოა და ვერ აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, რუსთაველის რკალის ტროტუარის კეთილმოწყობის სამუშაოებზე ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ღირებულება შეადგენს 790.2 ათას ლარს¹¹, ხოლო უხარისხოდ შესრულებული ბეტონის ფილების ღირებულება 290.6 ათას ლარს.

მუნიციპალიტეტმა რუსთაველის რკალის ტროტუარის კეთილმოწყობის სამუშაოების შესრულებისათვის შპს „Engineering Services Company“-ს აუნაზღაურა 1,503.5 ათასი ლარი. ექსპერტის დასკვნით შესრულებული სამუშაოების ღირებულება შეადგენს 790.2 ათას

¹⁰ ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზა.

¹¹ 1,503.5 ათას - 713.3 ათასი

ლარს¹². შესაბამისად, რეალურად შესრულებულ სამუშაოს ღირებულებასა და გადახდილ თანხას შორის სხვაობა შეადგენს 713.3 ათას ლარს, რაც მიმწოდებელს აუნაზღაურდა ზედმეტად.

დასკვნა

რუსთაველის რკალზე ტროტუარის კეთილმოწყობის სამუშაოების შესყიდვის პროცესი ხასიათდება სხვადასხვა დარღვევებით, კერძოდ:

- 1) მუნიციპალიტეტში არსებული კონტროლის სისტემებისა და პროცესის არასწორად წარმართვის გამო, რუსთაველის რკალზე ტროტუარის კეთილმოწყობისათვის გრანტის ფილების ნაცვლად დაგებულია ბეტონის ფილები, რითაც მნიშვნელოვნად გაუარესდა შესრულებული სამუშაოების ხარისხი, ექსპლოატაციის ხანგრძლივობა და ზიანი მიადგა მუნიციპალიტეტის ინტერესებს.
- 2) მიმწოდებელმა მუნიციპალიტეტთან შეთანხმების გარეშე ჩაანაცვლა გრანტის ფილები ბეტონის ფილებით. სამუშაოს შესრულებაზე პასუხისმგებელმა პირებმა, აღნიშნული ხარვეზი ვერ აღმოაჩინა. შედეგად მუნიციპალიტეტმა გრანტის ფილების ნაცვლად, ჩაიბარა ბეტონის ფილებით შესრულებული სამუშაოები და მიმწოდებელს აუნაზღაურა გრანტის ფილების ღირებულება.
- 3) მიმწოდებლის მიერ დაგებული ბეტონის ფილებიც უხარისხოა და ვერ აკმაყოფილებს სტანდარტის განსაზღვრულ მოთხოვნებს. შედეგად ფილების ნაწილი იშლება და დამცავი ფენა ძირითადად მოცვეთილია.
- 4) ექსპერტის დასკვნით დათვლილ ღირებულებასა და მუნიციპალიტეტის მიერ ჩაბარებულ სამუშაოების ღირებულებას შორის სხვაობა შეადგენს 713.3 ათას ლარს. აღნიშნული თანხა მუნიციპალიტეტის მიერ ზედმეტად არის გადახდილი.

ზემოთ აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის მიერ რუსთაველის რკალზე ტროტუარის მოწყობის სამუშაოები შესრულებულია უხარისხოდ და დიდი ოდენობით საბიუჯეტო თანხები ზედმეტად არის გადახდილი.

¹² უხარისხოდ შესრულებული ბეტონის ფილების ღირებულება შეადგენს 290.6 ათას ლარს, რაც მიმწოდებელს არ უნდა აუნაზღაურდეს.

რეკომენდაცია №1: მერიამ შეისწავლოს რუსთაველის რკალზე ტროტუარის კეთილმოწყობის სამუშაოები, გამოავლინოს პასუხისმგებელი პირები და მათ მიმართ გაატაროს კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი ღონისძიებები.

უხარისხოდ მოწყობილი მალთაყვას სანაპირო ზოლი

გამოვლენილი გარემოება: 2015 წელს მუნიციპალიტეტმა დაგეგმა ქ.ფოთში მალთაყვის უბანში სანაპირო ზოლის და მასთან მისასვლელი გზის მოწყობა. პროექტის დაფინანსებისათვის განისაზღვრა 18.0 მლნ ლარი. სანაპირო ზოლზე უნდა განხორციელებულიყო ბულვარის გარე-განათების, ტროტუარების კეთილმოწყობა, შიდა და გარე წყალსადენის, შიდა ელ. მომარაგების, სანტექნიკის, ძაღვანი ქსელის, კანალიზაციის მაგისტრალის, ტბის გადამრთველის, სანიაღვრე ქსელის, გამწვანების, სკუტერების მისასვლელის, კაფე-სანაყინეების, საჩრდილობლების, სათვალთვალო კომპლექსების, საშხაპეების, საფეხმავლო ხიდის, დამხმარე სათავსოს მოწყობის სამუშაოები. წარმოდგენილი მონაცემით, სანაპირო ზოლის მოწყობა დაიგეგმა ეტაპობრივად, 2015 წელს პროექტის დასაფინანსებლად რეგიონალური განვითარების ფონდიდან და ადგილობრივი ბიუჯეტიდან ჯამში გამოიყო 5.0 მლნ ლარი, ხოლო 2017 წელს 4.06 მლნ ლარი¹³.

2015 წელს მუნიციპალიტეტმა ქ. ფოთში მალთაყვას უბანში სანაპირო ზოლის (მათ შორის მისასვლელი გზის) პირველი ეტაპის სამუშაოების შესყიდვაზე ხელშეკრულება გაუფორმა შპს „პირამიდა ფ.რ-ს ფილიალს“, ღირებულებით 4,180.0 ათასი ლარი¹⁴. ხელშეკრულების პირობების მიხედვით, სამუშაოები უნდა დასრულებულიყო 2016 წლის 31 აგვისტომდე. მიმწოდებელმა ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში ვერ უზრუნველყო პროექტის დასრულება. წარმოდგენილი მონაცემებით სამუშაოების საბოლოო მიღება-ჩაბარება განხორციელდა 2017 წლის ნოემბერში.

წარმოდგენილი დოკუმენტებით, პროექტი ჩაიბარა მუნიციპალიტეტმა, რითაც დაადასტურა სამუშაოების შესაბამისობა ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. მუნიციპალიტეტში არ არის შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი, არც სამუშაოების მიმდები კომისია. შესრულებული სამუშაოების, მოცულობის, ხარისხის

¹³ 2017 წელს გაფორმებული ხელშეკრულება ითვალისწინებდა მალთაყვის სანაპირო ზოლის მეორე ეტაპის სამუშაოებს. აღნიშნული პროექტი, აუდიტის მსვლელობისას იყო მიმდინარე და დასრულებული არ იყო.

¹⁴ SPA150013844; ხელშეკრულება №129

განსაზღვრა და ხელშეკრულების პარამეტრებთან შესაბამისობის დადგენა ევალუბრად ერთ ადამიანს, მუნიციპალიტეტის მიერ დანიშნულ სამუშაოების ზედამხედველს¹⁵. ხელშეკრულების პირობების მიხედვით, შესრულებული სამუშაოების ხარისხის დადგენის მიზნით, მერიისათვის მიმწოდებელს უნდა წარედგინა მშენებლობის პროცესში გამოყენებული მასალების ხარისხის სერთიფიკატები. შესწავლით ირკვევა, რომ ზედამხედველი ამოწმებდა ფარულ სამუშაოებს, შესრულებული სამუშაოების მოცულობებს, ხოლო შესრულებული სამუშაოების ხარისხის განსაზღვრას, გამოყენებული მასალების ხარისხის შემოწმების გზით არ ახორციელებდა. გარდა აღნიშნული კონტროლის მექანიზმისა, ხელშეკრულება სამუშაოების ხარისხის, მოცულობებისა და ფასის განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დასადგენად ითვალისწინებდა შესრულებულ პროექტზე ექსპერტიზის ჩატარებას. აღსანიშნავია, რომ ექსპერტიზა განხორციელებულია მხოლოდ მოცულობებზე, ხოლო ხარისხი შემოწმებული არ არის¹⁶. აქედან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული კონტროლის პროცედურებით (ზედამხედველის შემოწმებით და ექსპერტიზით), პროექტებზე შესრულებული სამუშაოების ხარისხი დადასტურებული არ იყო. შესაბამისად მუნიციპალიტეტს არ ჰქონდა რწმუნება, სამუშაოების ხარისხის შესაბამისობაზე მოქმედ სტანდარტებთან და ნორმებთან. მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტმა ჩაიბარა პროექტები და მიმწოდებელს სრულად აუნაზღაურა შესრულებული სამუშაოების ღირებულება.

2018 წლის 11 ივნისს, აუდიტის ჯგუფმა მერიის წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერა შესრულებული სამუშაოები. დათვალიერების შედეგად გამოვლინდა, რომ 2015 წლის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები შესრულებულია უხარისხოდ. კერძოდ:

სანაპირო ზოლზე, ბულვარის მიმდებარედ არსებულ ტროტუარზე დაზიანებულია ასფალტის ფენა, ტროტუარის ბორდიურები უსწორმასწოროდ არის მოწყობილი; ტერასაზე არსებული ბეტონის გზა ხშირ შემთხვევაში დაზიანებულია და ზოგიერთ მონაკვეთზე შეიმჩნევა ბზარები.

¹⁵ სამუშაოებს ამოწმებდა ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მშენებლობის, ინფრასტრუქტურისა და ტრანსპორტის სამსახურის მთავარი სპეციალისტი; მიღება-ჩაბარებას ხელს აწერს მუნიციპალიტეტის მშენებლობის, ინფრასტრუქტურისა და ტრანსპორტის სამსახურის უფროსი და მუნიციპალიტეტის მერი

¹⁶ ექსპერტიზა განხორციელა შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფმა“

სურათი №2: ტერასაზე არსებული ბეტონის საფარის, ტროტუარის და ბორდიურების მოწყობა



სანაპირო ზოლზე, მოწყობილია დიდი და პატარა ზომის საყვავილეები, რომლის მხოლოდ ზედაპირია მოპირკეთებული გრანიტის ფილით, ხოლო საყვავილის გვერდები დაბეტონებულია, რაც დაუსრულებლის შთაბეჭდილებას ქმნის. საყვავილეებზე გრანიტის ფილა ზოგიერთ ადგილზე დაზიანებული და გატეხილია. პროექტით, გამწვანების ზოლში დარგულია სხვადასხვა სახის მცენარეები, საერთო ღირებულებით 89.6 ათასი ლარი. გამწვანებული ტერიტორია არ არის დაცული პირუტყვისაგან, არსებული მდგომარეობით დარგული მცენარეების უმრავლესობა განადგურებულია.

სურათი №3: სანაპირო ზოლზე საყვავილეების მოწყობისა და გამწვანების სამუშაოები





გარე განათების ლითონის ბოძები, ასევე სათვალთვალო კოშკზე და საშხაპეზე არსებული ლითონის კონსტრუქცია დაჟანგულია; კოშკზე გამოყენებული ხის მასალა დაზიანებულია, აივანზე ჩამტვრეულია ხის სავალი ნაწილი, ზოგიერთ ადგილას ჩამტვრეულია მინები და კარები.

სურათი №4: გარე განათების ბოძები, სათვალთვალო კოშკი და საშხაპე



ბულვარში მოწყობილ შენობა-ნაგებობებზე, კერძოდ: კაფე-სანაყინის, საპირფარეშოს, საჩრდილობლის და დამხმარე შენობის კედლები დაზიანებულია, კედლებიდან ჩამოყრილია საღებავი, საჩრდილობლის რკინის კონსტრუქციები დაჟანგულია, ბულვარში შშმ პირებისათვის მოწყობილია პანდუსი, თუმცა გადაადგილებისათვის ხელსაყრელი პირობები არ არის შექმნილი და მისი დანიშნულებით გამოყენება შეუძლებელია. მიმწოდებელს შესრულებულ სამუშაოს აქტში მითითებული აქვს სასმელი წყლის შადრევნის და ბეტონის სკამების ხის ზედაპირით მოწყობა. აღნიშნული სამუშაოები დაუსრულებელია, შადრევანი მოუწყობელია, ხოლო სკამები დაუსრულებელია და მისი დანიშნულებით გამოყენება შეუძლებელია.

სურათი №5: საჩრდილობელი, სკამები



ამდენად, მუნიციპალიტეტში არსებულმა კონტროლის მექანიზმებმა ვერ უზრუნველყო სამშენებლო ნორმებთან და სტანდარტებთან შესაბამისი სამუშაოების მიღება-ჩაბარება და არსებული დაზიანებების გამოვლენა. შედეგად მალთაყვის სანაპირო ზოლის მოწყობის სამუშაოები, რომელშიც გადახდილია 4.1 მლნ ლარი შესრულებულია უხარისხოდ, სამუშაოები მნიშვნელოვნად არის დაზიანებული და საჭიროებს დამატებით რეაბილიტაციას.

აღსანიშნავია, რომ მიმწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულება ითვალისწინებდა ორწლიან საგარანტიო მექანიზმს, რომლის დროსაც მიმწოდებელი ვალდებული იყო საკუთარი ხარჯებით აღმოეფხვრა უხარისხობით გამოწვეული ხარვეზები. მიუხედავად იმისა, რომ შესრულებული სამუშაოები დაზიანებულია საგარანტიო პერიოდში, მუნიციპალიტეტმა არ გამოიყენა ხელშეკრულებით განსაზღვრული კონტროლის მექანიზმი და არ მიმართა მიმწოდებელს ხარვეზების გამოსწორების მოთხოვნით.

გარდა ამისა, შპს „პირამიდა ფ.რ.-ს ფილიალმა“ ვერ უზრუნველყო ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში სამუშაოების დასრულება, რისთვისაც დაეკისრა საჯარიმო სანქცია 11.9 ათასი ლარი. მუნიციპალიტეტის მიერ, საჯარიმო სანქციის დარიცხვის პროცესი ხასიათდება დარღვევებით, კერძოდ: სახელშეკრულებო პირობებით, პროექტის ვადაში დაუსრულებლობის შემთხვევაში, განსაზღვრული იყო საჯარიმო სანქცია შეუსრულებელი ვალდებულების 0.2% ოდენობით. წარმოდგენილი მონაცემებით, მუნიციპალიტეტი მიმწოდებელს აღნიშნული პრინციპით აჯარიმებდა 2017 წლის თებერვლამდე¹⁷. 2017 წლის თებერვალში ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილება, დაკორექტირდა საჯარიმო სანქციის ოდენობა და 0.2%-ის ნაცვლად განისაზღვრა 0.02%-ით. მუნიციპალიტეტმა აღნიშნული ცვლილების საფუძველზე დააკორექტირა წინა პერიოდში დარიცხული საჯარიმო სანქციის ოდენობა. შესაბამისად მიმწოდებლისთვის დარიცხული პირგასამტეხლოს ოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა, 31.7 ათასი ლარის ნაცვლად, შეადგინა 11.9 ათასი ლარი¹⁸.

ხელშეკრულების პირობით განსაზღვრული საჯარიმო სანქცია, წარმოადგენს სამუშაოების დროულად შესრულების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ბერკეტს. მიმწოდებელმა ვერ უზრუნველყო პროექტის დროულად შესრულება და ამასთან არ ჰქონდა დაუსრულებლობის ობიექტური მიზეზი. აღნიშნულ პირობებში, საჯარიმო სანქციის განაკვეთის შემცირებას შესაძლოა გამოეწვია სამუშაოების შესრულების პროცესის კიდევ უფრო გახანგრძლივება. მუნიციპალიტეტმა ვერ დაასაბუთა, აღნიშნულ პირობებში, საჯარიმო სანქციის განაკვეთის ცვლილება რა ობიექტური საჭიროებით იყო გამოწვეული. საბოლოოდ სამუშაოები დასრულდა 2017 წლის ნოემბერში, ამ პერიოდისათვის მუნიციპალიტეტს მიმწოდებლისათვის სულ დარიცხული ჰქონდა საჯარიმო სანქცია 13.7 ათასი ლარი¹⁹. ხელშეკრულებით განსაზღვრული თავდაპირველი განაკვეთის მიხედვით, მიმწოდებლისათვის დასარიცხი პირგასამტეხლო, შეადგენს 120.0 ათას ლარზე მეტს²⁰, რაც მნიშვნელოვნად მეტია, ფაქტობრივად დარიცხულ პირგასამტეხლოზე.

დასკვნა

ტენდერის შესწავლით ირკვევა, რომ მერიის პასუხისმგებელი პირები შესაძლოა მოქმედებდნენ არა კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად,

¹⁷ ამ პერიოდისათვის მიმწოდებელზე დაკისრებული საჯარიმო სანქცია შეადგენდა 31.7 ათას ლარს.

¹⁸ ჯარიმა დარიცხულია 12.10.2016-24.11.2016 პერიოდზე.

¹⁹ პირგასამტეხლო დარიცხულია 12.10.2016-09.11.2017 პერიოდში, შეუსრულებელი ვალდებულების 0.02%

²⁰ პირგასამტეხლო გაანგარიშებულია 12.10.2016-09.11.2017 პერიოდში, შეუსრულებელი ვალდებულების 0.2%

არამედ სუბიექტური ინტერესებიდან გამომდინარე. შესაბამისად, მერიამ ჩაიბარა უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები, რაშიც გადახდილია 4.1 მლნ ლარი. გარდა ამისა, მერიას ევალებოდა მიემართა მიმწოდებელზე, საგარანტიო ვადაში დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენის მოთხოვნით, თუმცა მერიის პასუხისმგებელმა პირებმა არ გაატარეს შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებები.

საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაციაში არსებული ნაკლოვანებები

გამოვლენილი გარემოება №1: 2013 წლის 4 ნოემბერს მერიამ ელექტრონული ტენდერის საშუალებით, გააფორმა ხელშეკრულება შპს „ჯენერალ ქონსტრაქშენ კომპანისტან“ ქ. ფოთში დ. აღმაშენებლის ქუჩაზე მდებარე №14, №16 და №21 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაციაზე, ღირებულებით 1,398.7 ათასი ლარი²¹. ხელშეკრულების მიხედვით, მიმწოდებელს უნდა განეხორციელებინა სახლების გარე ფასადის მოპირკეთება გრანიტის ფილებით, სადარბაზოების რეაბილიტაცია, მანსარდის მოწყობა და სახურავების შეცვლა. ობიექტის მიწოდების ვადად განისაზღვრა 2013 წლის 30 დეკემბერი. ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილებები²², რის საფუძველზეც მიმწოდებელს ხელშეკრულების მოქმედების ვადა გაუგრძელდა 2015 წლის 30 სექტემბრამდე.

წარმოდგენილი მონაცემებით, მიმწოდებელმა ვერ უზრუნველყო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულება, რის გამოც მუნიციპალიტეტმა 2015 წლის 25 სექტემბერს შეწყვიტა ხელშეკრულება. აღნიშნული პერიოდისათვის მიმწოდებელს შესრულებული ქონდა 1,216.5 ათასი ლარის სამუშაო²³. შესრულების ვადის დარღვევის გამო მერიამ მიმწოდებელს დაარიცხა საჯარიმო სანქცია 469.7 ათასი ლარის ოდენობით. წარმოდგენილი მონაცემებით მიმწოდებელს ჯარიმა არ აქვს გადახდილი. მიმწოდებელს ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის წარმოდგენილი ჰქონდა საბანკო გარანტია, თანხით 69.9 ათასი ლარი. შესწავლით ირკვევა, რომ გარანტორი იყო უცხო ქვეყნის იურიდიული პირი - OPEN JOINT STOCK COMPANY EUROBANK (ღია სააქციო საზოგადოება „ევრობანკი“, ბაქო, აზერბაიჯანი), რომელიც გარანტიის მოთხოვნის

²¹ SPA130020794, ხელშეკრულება N208

²² უამინდობა, პროექტის ცვლილებები

²³ მიმწოდებელს აუნაზღაურდა შესრულებული სამუშაოების ღირებულება 1 207.6 ათასი ლარი.

პერიოდში ლიკვიდირებული იყო. შესაბამისად მუნიციპალიტეტმა ვერ შეძლო საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილი თანხის მიღება²⁴.

2015 წლის 24 ნოემბერს მუნიციპალიტეტმა დ. აღმაშენებლის ქუჩაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის რეაბილიტაციის სამუშაოების დასრულებისათვის, გამარტივებული შესყიდვის გზით, ხელშეკრულება გაუფორმა შპს „Engineering Services Company-ის“, ღირებულებით 157.7 ათასი ლარი.

2016 წლის 10 ივნისს, მიმწოდებელმა დაასრულა სამუშაოები და მხარეებს შორის გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი. მუნიციპალიტეტმა ჩაიბარა შესრულებული სამუშაოები, რითაც დაადასტურა სამუშაოების შესაბამისობა ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. ხელშეკრულება ითვალისწინებდა შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზას, რომლითაც უნდა დადასტურებულიყო შესრულებული სამუშაოების მოცულობის, ხარისხისა და გადახდილი ფასის შესაბამისობა განსაზღვრულ მოთხოვნებთან. 2016 წლის 10 ოქტომბერს შესრულებულ სამუშაოებს ჩაუტარდა ექსპერტიზა. აღსანიშნავია, რომ ექსპერტიზა განხორციელდა მხოლოდ სამუშაოების მოცულობებზე, ხოლო ხარისხი შემოწმებული არ არის. დასკვნის თანახმად, შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 152.7 ათასი ლარი, რაც მიმწოდებელს აუნაზღაურდა სრულად.

ქ. ფოთში დ. აღმაშენებლის ქუჩაზე მდებარე №14, №16 და №21 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის რეაბილიტაციაზე ორივე ხელშეკრულების ფარგლებში, მერიამ დახარჯა 1.36 მლნ ლარი. შესწავლით ირკვევა, რომ შესრულებული სამუშაოები მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან მალევე დაზიანდა. რეაბილიტირებულ საცხოვრებელ კორპუსში ჭერიდან და კედლებიდან ჩადის წყალი, რამაც დააზიანა მოსახლეობის საცხოვრებელი ფართები. აღნიშნულის თაობაზე რეაბილიტირებული კორპუსის მაცხოვრებლებმა რამდენჯერმე წერილობით მიმართეს მერიას და მოითხოვეს დაზიანებების გამოსწორება.

2016 წელს, რეაბილიტირებულ კორპუსში მცხოვრებმა მოქალაქემ, შეიტანა სარჩელი სასამართლოში და მუნიციპალიტეტს მოსთხოვა მიყენებული ზარალის ანაზღაურება.

²⁴ სასამართლომ არ დააკმაყოფილა მერიის სარჩელი ხელშეკრულების უზრუნველყოფის თანხის მიმწოდებლისგან მოთხოვნასთან დაკავშირებით, ვინაიდან მიმწოდებელზე ზედმეტად არ იყო გადარიცხული თანხა

სასამართლომ მოქალაქეს დაუკმაყოფილა სარჩელი და მუნიციპალიტეტს დააკისრა დაზარალებულისათვის აენაზღაურებინა 40.1 ათასი ლარი.

2018 წლის 11 ივნისს, აუდიტის ჯგუფმა მერიის წარმომადგენლებთან ერთად, დაათვალიერა დ. აღმაშენებლის №14, №16 და №21 საცხოვრებელი კორპუსები. დათვალიერების შედეგად გამოვლინდა, რომ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ფასადების მოპირკეთებისა და მანსარდების მოწყობის სამუშაოები შესრულებულია უხარისხოდ. სამუშაოების შესრულების შედეგად, აღნიშნული კორპუსების ბოლო და ბოლოსწინა სართულების მაცხოვრებლებს მნიშვნელოვნად დაუზიანდათ საცხოვრებელი ფართი. ვიზუალური დათვალიერებით, გამოვლინდა, რომ წვიმიან ამინდში წყლით იტბორება 7 მოსახლის საცხოვრებელი ბინა²⁵, აქედან 5 საცხოვრებელი ბინა პრაქტიკულად განადგურებულია და გამოუყენებელია საცხოვრებლად.

სურათი №6: დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრებელი სახლები



²⁵ კორპუსი №16-ის მე-10, მე-12 მე-5 და მე-6 ბინა; კორპუსი №14-ის მე-6 და მე-7 ბინა.

ბინებში წყალი შედის როგორც ჭერიდან, ასევე რეაბილიტირებული ფასადის მხრიდან. წვიმის წყლის ჩასვლის გამო, დაზიანებულია №16 და №14 კორპუსების სადარბაზოები. რეაბილიტირებულ №16 კორპუსში ფასადის ზოგიერთ მონაკვეთზე დაზიანებულია მოპირკეთებული ფილა, ვიზუალური დათვალიერებით ფილებს და კედელს შორის სიცარიელეა. ზოგიერთი ფილა სათანადოდ არ არის მიმაგრებული ფასადზე, ანალოგიური მდგომარეობაა აივნებზეც.

სურათი №7: ბინების სადარბაზოები



დ. აღმაშენებლის ქუჩაზე რეაბილიტირებული №14 კორპუსის მანსარდზე უხარისხოდ არის შესრულებული სამუშაოები. გადახურული მანსარდიდან წყალი ჩამოდის, ასევე მოუწყობელია იატაკი, რის გამოც მოსახლის ოთახის ჭერი პრაქტიკულად ღიაა.

სურათი №8: მანსარდის ჭერი და იატაკი



რეაბილიტირებული №16 და №14 ბინაში წვიმის წყლის ჩამოსვლის გამო დაზიანებულია მოსახლის ხის იატაკი. ერთ ადგილზე პრაქტიკულად გახსნილია იატაკის საყრდენი ხის

ძელაკი, საიდანაც ჩანს ქვედა სართულის ბინის ოთახი. წვიმის წყლის გამო, აღნიშნული ხის ძელი იმდენად დაზიანებულია, რომ საფრთხეს უქმნის მოსახლეობას.

სურათი №9: საცხოვრებელი სახლების იატაკი



დაზიანებები გამოვლინდა 2016 წელს, ობიექტის საგარანტიო პერიოდში, მიღება-ჩაბარებიდან რამდენიმე თვეში. მიმწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულება ითვალისწინებდა ხუთწლიან საგარანტიო მექანიზმს, რომლის დროსაც მიმწოდებელი ვალდებული იყო საკუთარი ხარჯებით აღმოეფხვრა უხარისხობით გამოწვეული ხარვეზები. მუნიციპალიტეტმა მოსთხოვა მიმწოდებელს პრობლემის მოგვარება, თუმცა შემსრულებელ კომპანიას არ გამოუსწორებია ხარვეზები, ხოლო მუნიციპალიტეტს სხვა დამატებითი ღონისძიებები არ აქვს გატარებული.

აღსანიშნავია, რომ დ. აღმაშენებლის №14, №16 და №21 საცხოვრებელი კორპუსების რეაბილიტაციაზე 2013 წელს გაფორმებული ხელშეკრულება არ ითვალისწინებდა ექსპერტიზის ჩატარებას. 2015 წელს სამუშაოების დასრულების მიზნით გაფორმებულ ხელშეკრულებაში საექსპერტო მომსახურება მოთხოვნილი იყო. თუმცა ჩატარებული ექსპერტიზით შემოწმდა მოცულობები და არ შემოწმებულა შესრულებული სამუშაოების ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან²⁶. წარმოდგენილი მონაცემებით, შესრულებულ სამუშაოებს ამოწმებდა მუნიციპალიტეტის მიერ დანიშნული ზედამხედველი, რომელიც ასევე აკონტროლებდა მხოლოდ სამუშაოების მოცულობებს, ხოლო ხარისხის შემოწმება მის მიერ არ განხორციელებულა. შესაბამისად მუნიციპალიტეტმა ორივე ხელშეკრულების ფარგლებში სულ ჩაიბარა 1.36 მლნ ლარის სამუშაო, ისე რომ არ ჰქონდა შესწავლილი აკმაყოფილებდა თუ არა პროექტი

²⁶ ექსპერტიზა განხორციელდა შპს „მშენ-ექსპერტის“ მიერ.

ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და შეესაბამებოდა თუ არა შესრულებული სამუშაოების ხარისხი გადახდილ ფასს.

გამოვლენილი გარემოება №2: 2015 წლის 27 ნოემბერს მერიამ, გამარტივებული შესყიდვის გზით ხელშეკრულება გაუფორმა შპს „იმედი 1969-ს“²⁷, სტიქიის შედეგად დაზიანებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავების რეაბილიტაციაზე, სახელშეკრულებო ღირებულებით, 54.2 ათასი ლარი²⁸. 2015 წლის 28 დეკემბერს მიმწოდებელმა დაასრულა სამუშაოები და მხარეებს შორის გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი. მუნიციპალიტეტმა ჩაიბარა შესრულებული სამუშაოები, რითაც დაადასტურა სამუშაოების შესაბამისობა ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

2015 წლის 29 დეკემბერს, მერიის მოთხოვნის საფუძველზე, შესრულებულ სამუშაოებს ჩაუტარდა ექსპერტიზა, რითაც შემოწმდა სამუშაოების მხოლოდ მოცულობები და ერთეულის ღირებულებები, ხოლო ხარისხი ექსპერტიზის მიერ არ შემოწმებულა. დასკვნის თანხმად, შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 54.1 ათასი ლარი, რაც მიმწოდებელს აუნაზღაურდა სრულად, მათ შორის მემედ აბაშიძის №14 კორპუსის სახურავის გადახურვაში დახარჯულია 17.6 ათასი ლარი.

2018 წლის 14 ივნისს, აუდიტის ჯგუფმა, მერიის წარმომადგენლებთან ერთად, დაათვალიერა საცხოვრებელი კორპუსების რეაბილიტირებული სახურავები. დათვალიერების შედეგად გამოვლინდა, რომ მემედ აბაშიძის №14 კორპუსის სახურავიდან სხვენში ჩაედინება წვიმის წყალი და საფრთხეს უქმნის მოსახლეობის საცხოვრებელ ფართებს.

სურათი №10: სახურავების რეაბილიტაცია



²⁷ ხელშეკრულება N154

²⁸ CMR 150205983

აღსანიშნავია, რომ მიმწოდებელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში განსაზღვრული იყო შესრულებული სამუშაოების საგარანტიო პერიოდი, რომლის მიხედვითაც მიმწოდებელი ვალდებულია, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 3 წლის განმავლობაში, უზრუნველყოს ობიექტზე აღმოჩენილი დეფექტების გამოსწორება.

მიუხედავად იმისა, რომ ობიექტის საგარანტიო პერიოდი გასული არ იყო, მუნიციპალიტეტს არ ჰქონდა გატარებული შესაბამისი ღონისძიებები დაზიანებების აღმოსაფხვრელად. არ მიუმართავს შემსრულებელი კომპანიისათვის არსებული დაზიანებების აღდგენის მიზნით. მერიის პასუხისმგებელი პირები ვალდებული იყვნენ გაეტარებინათ შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებები.

დასკვნა

ინფრასტრუქტურული პროექტების კონტროლში არსებულმა მართვის სისუსტეებმა გამოიწვია ის, რომ მუნიციპალიტეტმა ჩაიბარა 1.38 მლნ ლარის უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები. შედეგად მნიშვნელოვნად დაზიანდა მოსახლეობის ქონება და ზიანი მიაღწა მათ ინტერესებს. მიუხედავად იმისა, რომ კორპუსების რეაბილიტაციის შედეგად, მოსახლეობას საცხოვრებელ სახლებში რამდენიმე წელია ჩასდით წყალი, პრობლემის მოსაგვარებლად მუნიციპალიტეტის მხრიდან არ არის გატარებული რაიმე სახის ქმედითი ღონისძიებები.

რეკომენდაცია №2: მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანომ შეიმუშაოს და დანერგოს სამშენებლო სამუშაოების მიღებისა და ჩაბარების წესი, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და სტანდარტების დაცვით სამუშაოების შესრულებისათვის საჭირო კონტროლის მექანიზმები. ამასთან მნიშვნელოვანია დაინერგოს შესრულებულ პროექტებზე უწყვეტი მონიტორინგის სისტემა. ნათლად უნდა განისაზღვროს, კონტროლის თითოეულ ეტაპზე ჩასატარებელი სამუშაოები და კონტროლის განმახორციელებელი პირები, მათი მოვალეობები და პასუხისმგებლობა. აღნიშნული უზრუნველყოფს კონტროლის მექანიზმების გამართულ ფუნქციონირებას და პროექტის შემოწმებისათვის საჭირო ყველა პროცედურის სათანადოდ წარმართვას. მუნიციპალიტეტმა გამოავლინოს პასუხისმგებელი პირები და გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები.

გამარტივებულ შესყიდვებში არსებული შეუსაბამოებები

კრიტერიუმი: საქართველოს მთავრობის, ასევე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის სამართლებრივი აქტების შესაბამისად²⁹, 2012 წლის 1 ივლისის შემდეგ, გამარტივებული შესყიდვის გზით განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების ღირებულება მიმწოდებელს უნდა აუნაზღაურდეს შემდეგი წესით: შესრულებული სამუშაოების ღირებულება განისაზღვრება შესაბამისი ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული ერთეულის ფასების ფარგლებში, ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით. აღნიშნული გულისხმობს სამუშაოს ანაზღაურებას რეალურად გაწეული ხარჯების მიხედვით, რაც შესაძლებელია დადასტურდეს სამუშაოს შესრულების პროცესში შედგენილი სასაქონლო ზედნადებით, ანგარიშ-ფაქტურებით, ხელფასის ჩარიცხვის დოკუმენტით, შესყიდვის აქტებით, იჯარისა და ქირავნობის ხელშეკრულებებით და სხვ.

გამოვლენილი გარემოება: 2016-2017 წლებში მუნიციპალიტეტის მიერ სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების განხორციელების მიზნით, გამარტივებული შესყიდვის ფორმით დადებულია 6 ხელშეკრულება, ღირებულებით 816.1 ათასი ლარი.

აუდიტის ჯგუფმა მუნიციპალიტეტს მოსთხოვა მიმწოდებლების მიერ შესრულებული სამუშაოების ფაქტობრივი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. კერძოდ: სასაქონლო ზედნადები, ანგარიშ-ფაქტურები, ხელფასის გადარიცხვის დოკუმენტები, შესყიდვის აქტები, იჯარისა და ქირავნობის ხელშეკრულებები და სხვ. აღნიშნული დოკუმენტაცია აუდიტის ობიექტმა ვერ წარმოადგინა. მუნიციპალიტეტი მიმწოდებლებთან ანგარიშსწორებას ახორციელებდა ფაქტობრივი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტების გარეშე, მხოლოდ წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოს აქტების (ფორმა №2) საფუძველზე. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, გამარტივებული შესყიდვის დროს 6 შემთხვევაში (დაზიანებული გზების აღდგენა-რეაბილიტაცია, ტროტუარის რეაბილიტაცია, სახურავების გადახურვა), სახელშეკრულებო ღირებულებით 816.1 ათასი ლარი, სამშენებლო სამუშაოების ანაზღაურება არ განხორციელებულა ფაქტობრივი დანახარჯების დამადასტურებელი დოკუმენტების საფუძველზე.

²⁹ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 დადგენილება; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 12 ივლისის №1-1/1463 ბრძანება „ტექნიკური რეგლამენტის - „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის“ დამტკიცების შესახებ“.

დასკვნა

2016-2017 წლებში სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული წესით შესყიდვისას, მუნიციპალიტეტის მიერ არ არის დაცული კანონმდებლობის მოთხოვნა ფაქტობრივი დანახარჯებით ანაზღაურების შესახებ, რაც არსებული პრაქტიკით იწვევს საბიუჯეტო სახსრების ზედმეტად ანაზღაურებას.

აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის პერიოდშიც გამოვლინდა ანალოგიური დარღვევები. კერძოდ, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ნაწარმოები სამშენებლო სამუშაოები, თანხით 6,729.4 ათასი ლარი, მერიის მიერ ანაზღაურებული იყო ფაქტობრივი დანახარჯების დათვლის გარეშე. მიუხედავად ამისა, მერიამ არც 2016-2017 წლებში გაითვალისწინა აუდიტის სამსახურის მიერ წინა აუდიტის პერიოდში გამოვლენილი გარემოება.

რეკომენდაცია №3: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიამ სამშენებლო სამუშაოების მიწოდებაზე გაფორმებული გამარტივებული შესყიდვის ხელშეკრულებების ფარგლებში, ანგარიშსწორება არ განახორციელოს მიმწოდებლების მიერ ფაქტობრივი დანახარჯების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე. ამ მიზნით, მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიზანშეწონილია შეიმუშაოს გამარტივებული შესყიდვის გზით განსახორციელებელი სამშენებლო სამუშაოების ფაქტობრივი დანახარჯების დათვლის მეთოდი და კონკრეტული წესი, რომელიც შესაბამისობაში იქნება მოქმედ კანონმდებლობასთან. საჭიროა მუნიციპალიტეტმა მიმწოდებლებისაგან მოითხოვოს შესაბამისი დოკუმენტაცია და გაიანგარიშოს ფაქტობრივი ხარჯები. შეუსაბამოების არსებობის ან დოკუმენტების წარმოუდგენლობის შემთხვევაში, გაატაროს სათანადო სამართლებრივი ღონისძიებები, მათ შორის, მუნიციპალიტეტის შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიმართ, რომლებსაც ევალებოდათ ანგარიშსწორების აღნიშნული პრინციპის დაცვა.

შესყიდვების მართვა

პრეტენდენტების არასამართლიანი დისკვალიფიკაცია

კრიტერიუმი: სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად³⁰, სატენდერო კომისიამ, მიმწოდებლების შერჩევა-შეფასების პროცესში უნდა იმსჯელოს, შეესაბამება თუ არა ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში განთავსებული ტექნიკური დოკუმენტაცია სატენდერო განცხადებითა და სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილ მოთხოვნებს. საჭიროების შემთხვევაში კომისია, მიმართავს პრეტენდენტს მის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტების მიზნით. სატენდერო კომისია არ ახდენს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას, თუ მის მიერ სისტემაში ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტება არ გამოიწვევს არსებით ცვლილებას ან/და არ გაზრდის წინადადების ფასს.

გამოვლენილი გარემოება №1: 2016 წელს მუნიციპალიტეტმა გამოაცხადა ტენდერი³¹, ქ. ფოთში დიდების მემორიალის, სკვერების, პარკების, ქუჩების და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების გამწვანებული ეზოების მოვლა-პატრონობის სამუშაოების შესყიდვაზე, სავარაუდო ღირებულებით 480.0 ათასი ლარი³². ტენდერში ყველაზე დაბალი ფასი დააფიქსირა შპს „ჯენერალ ინშაატ-ის ფილიალმა“ თანხით 379.0 ათასი ლარი³³. სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით შპს „ჯენერალ ინშაატ-ის ფილიალს“ მიენიჭა დისკვალიფიკაცია სატენდერო დოკუმენტაციის წარმოდგენლობის გამო. შესწავლით ირკვევა, რომ სატენდერო კომისიამ შპს „ჯენერალ ინშაატ-ის ფილიალის“ დისკვალიფიკაცია განახორციელა არასწორად. კერძოდ: პრეტენდენტს წარმოდგენილი ჰქონდა ტენდერში დაფიქსირებული ფასის შესაბამისი ხარჯთაღრიცხვა ღირებულებით 379.0 ათასი ლარი. სატენდერო კომისიამ ხარჯთაღრიცხვის გადამოწმების შედეგად აღმოაჩინა შეცდომები, რის შედეგადაც ხარჯთაღრიცხვის ღირებულება ტენდერში დაფიქსირებულ ფასთან შედარებით იზრდებოდა 691 ლარით. სატენდერო კომისიამ არ მოსთხოვა პრეტენდენტს სატენდერო წინადადების შესაბამისად ხარჯთაღრიცხვის დაზუსტება და მიანიჭა დისკვალიფიკაცია.

³⁰ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანება „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 12. 2015-2016 წლებში მოქმედი საკანონმდებლო რეგულაციით.

³¹ SPA 160029976

³² ტენდერი გამოცხადდა დღგ-ს გარეშე სავარაუდო ღირებულებით 406.8 ათასი ლარი, დღგ-ს ჩათვლით ღირებულება შეადგენს 480.0 ათას ლარს.

³³ დღგ ჩათვლით.

ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა და ხელშეკრულება გაუფორმდა მომდევნო დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტს შპს „ინფრასტრუქტურა 2008“-ს ღირებულებით 480.0 ათასი ლარი. აღნიშნული თანხა 100.9 ათასი ლარით აღემატება სატენდერო კომისიის მიერ არასწორად დისკვალიფიცირებული პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებულ ფასს.

აღსანიშნავია, რომ შპს „ინფრასტრუქტურა 2008“ არის მერიის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირი. შესაბამისად, არსებობს მაღალი რისკი იმისა, რომ სატენდერო კომისიამ დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტს შეგნებულად არ დააზუსტებინა ხარჯთაღრიცხვა, რადგან გაემარჯვა მომდევნო პრეტენდენტს, რომელიც იყო მერიის მიერ დაფუძნებული მიმწოდებელი.

დასკვნა

ამდენად, არსებობს რისკი, რომ მერიის შესაბამისი პასუხისმგებელი პირები მოქმედებდნენ არა კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად, არამედ სუბიექტური შეხედულებებიდან გამომდინარე, რის შედეგადაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან 100.9 ათასი ლარი დაიხარჯა არაეკონომიურად.

გამოვლენილი გარემოება №2. 2016 წელს მუნიციპალიტეტმა გამოაცხადა ტენდერი ქ. ფოთში მცხოვრები უმწეო და გაჭირვებული მოქალაქეების გარდაცვალების შემთხვევაში, სარიტუალო მომსახურების შესყიდვაზე, ღირებულებით 37.0 ათასი ლარი³⁴. ტენდერში ყველაზე დაბალი ფასი დააფიქსირა შპს „სერვისკომპანი-2007“-მა თანხით 30.2 ათასი ლარი³⁵. სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით შპს „სერვისკომპანი-2007“ მიენიჭა დისკვალიფიკაცია სატენდერო დოკუმენტაციის წარმოდგენლობის გამო. შესწავლით ირკვევა, რომ სატენდერო კომისიამ პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია განახორციელა არასწორად. კერძოდ:

სატენდერო კომისიამ პრეტენდენტს მიანიჭა დისკვალიფიკაცია, რადგან სისტემაში ატვირთული არ ქონდა ანალოგიური გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. კომისიის გადაწყვეტილებით გამოცდილების შესახებ დოკუმენტაცია დაზუსტებას არ ექვემდებარება, რადგან გამოიწვევს ტექნიკური დოკუმენტაციის არსებით ცვლილებას. მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით სატენდერო კომისიამ არ უნდა მიანიჭოს პრეტენდენტს დისკვალიფიკაცია, თუ მის მიერ სისტემაში ატვირთული

³⁴ SPA160032536. ტენდერი გამოცხადდა დღგ გარშე სავარაუდო ღირებულებით 31.3 დღგ ჩათვლით ღირებულება შეადგენს 37.0 ათას ლარს.

³⁵ დღგ ჩათვლით.

ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტება არ გამოიწვევს არსებით ცვლილებას. სატენდერო კომისიამ არ გაითვალისწინა კანონმდებლობის მოთხოვნა, ტენდერში მონაწილეს არ დააზუსტებინა ტექნიკური დოკუმენტაცია და მიაწაღა დისკვალიფიკაცია.

ტენდერში მომდევნო დაბალი ფასი დაფიქსირებული ჰქონდა შპს „ტოტალს“ ღირებულებით 37.0 ათასი ლარი. შესწავლით ირკვევა, რომ აღნიშნულ პრეტენდენტსაც არ ჰქონდა წარმოდგენილი ანალოგიური სამუშაოების მომსახურების გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, თუმცა სატენდერო კომისიამ მას მისცა დოკუმენტაციის დაზუსტების საშუალება და გამოაცხადა გამარჯვებულად.

ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს - შპს „სერვისკომპანია-2007-ს“ და შპს „ტოტალს“, სისტემაში არ ჰქონდა ატვირთული ინფორმაცია ანალოგიური მომსახურების გამოცდილების შესახებ. სატენდერო კომისიამ შპს „სერვისკომპანია-2007-ს“ არ დააზუსტებინა დოკუმენტაცია და მიაწაღა დისკვალიფიკაცია, ხოლო შპს „ტოტალს“ დააზუსტებინა ტექნიკური დოკუმენტაცია და გაუფორმა ხელშეკრულება ღირებულებით 37.0 ათასი ლარი. აღნიშნული თანხა 6.8 ათასი ლარით აღემატებოდა სატენდერო კომისიის მიერ არასწორად დისკვალიფიცირებული პრეტენდენტის შემოთავაზებულ ფასს.

დასკვნა

ამდენად, სატენდერო კომისიამ დაარღვია კანონმდებლობა და დისკვალიფიცირებული პრეტენდენტის მიმართ გამოიყენა არასამართლიანი მიდგომა. არსებობს რისკი, რომ შესყიდვის პროცედურები მუნიციპალიტეტმა წარმართა ისე, რომ ტენდერში გაემარჯვა შპს „ტოტალს“. შედეგად, მერიამ აღნიშნული საქონლის შესყიდვაზე არაეკონომიურად დახარჯა 6.8 ათასი ლარი.

გამოვლენილი გარემოება №3. 2016 წელს მუნიციპალიტეტმა გამოაცხადა ტენდერი, გარე განათების მოწყობის სამუშაოების შესყიდვაზე, სავარაუდო ღირებულებით 168.7 ათასი ლარი³⁶. ტენდერში ყველაზე დაბალი ფასი დააფიქსირა შპს „ემჯი ჯგუფმა“, თანხით 131.6 ათასი ლარი. სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით, დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვა არ შეესაბამებოდა საქართველოს

³⁶ SPA 160004325. ტენდერი გამოცხადებულია დღგ გარეშე, სავარაუდო ღირებულებით 143.0 ათასი ლარი. დღგ-ჩათვლით აღნიშნული თანხა შეადგენს 168.7 ათას ლარს.

მთავრობის №55 დადგენილებით³⁷ განსაზღვრულ მოთხოვნებს, რის გამოც საჭირო იყო პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია.

საქართველოს მთავრობის №55 დადგენილებით, სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას, განსაზღვრულია ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური მოგების ზღვრული ოდენობები. წესის დაცვა სავალდებულოა მხოლოდ შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, სამშენებლო სამუშაოებზე საწყისი სავარაუდო ფასის განსაზღვრისას, საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის პროცესში, ასევე სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, შესრულებული სამუშაოების ფაქტობრივი ღირებულების დაანგარიშების დროს. შესაბამისად, მთავრობის აღნიშნული დადგენილების დაცვა არ ევალუბოდა პრეტენდენტს და სატენდერო კომისიამ დისკვალიფიკაცია შპს „ემჯი ჯგუფს“ მიანიჭა არასწორად. ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა და ხელშეკრულება გაუფორმდა მომდევნო დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტს შპს „მურს“ თანხით 133.3 ათასი ლარი. აღნიშნული თანხა 1.7 ათასი ლარით აღემატება სატენდერო კომისიის მიერ არასწორად დისკვალიფიცირებული პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებულ ფასს.

დასკვნა

ამდენად, მუნიციპალიტეტის შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიერ სატენდერო პროცესის არასწორად წარმართვის გამო, ადგილობრივი ბიუჯეტიდან 1.7 ათასი ლარი დაიხარჯა არაეკონომიურად.

გამოვლენილი გარემოება №4. 2016 წელს მუნიციპალიტეტმა ავტოსატრანსპორტო საშუალებების რეცხვა-დასუფთავების მომსახურების შესყიდვაზე გამოაცხადა ტენდერი³⁸. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენდა 4.5 ათას ლარს. ტენდერში ყველაზე დაბალი ფასი 3.6 ათასი ლარი დააფიქსირა შპს „დელიგიმ“. პრეტენდენტს სისტემაში ატვირთული არ ქონდა სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული საკუთრებაში ან სარგებლობაში 1 ერთეული ავტოსამრეცხავის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი. სატენდერო კომისიამ პრეტენდენტს არ დააზუსტებინა ტექნიკური დოკუმენტაცია და მიანიჭა დისკვალიფიკაცია. მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, სატენდერო კომისიამ არ უნდა მიანიჭოს პრეტენდენტს დისკვალიფიკაცია, თუ მის მიერ სისტემაში ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტება არ

³⁷ „ტექნიკური რეგლამენტის – სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური მოგების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“

³⁸ SPA 160032537

გამოიწვევს არსებით ცვლილებას ან/და არ გაზრდის წინადადების ფასს. შესაბამისად, სატენდერო კომისიამ ტენდერში მონაწილე შპს „დელიგის“ კანონმდებლობის დარღვევით მიანიჭა დისკვალიფიკაცია. დისკვალიფიკაციის შემდეგ, ტენდერში გაიმარჯვა და ხელშეკრულება გაუფორმდა ი/მ „შალვა კალანდიას“, თანხით 4.2 ათასი ლარი.

დასკვნა

პრეტენდენტების შემოთავაზებულ სატენდერო წინადადებებს შორის განსხვავება მცირეა და მიღებული გადაწყვეტილებით შესყიდვის საგნის ღირებულება მნიშვნელოვნად არ გაზრდილა. მიუხედავად ამისა, სატენდერო კომისიამ დაარღვია კანონმდებლობა და დისკვალიფიცირებული პრეტენდენტის მიმართ გამოიყენა არასამართლიანი მიდგომა.

რეკომენდაცია №4: მერიამ სახელმწიფო შესყიდვების პროცესი წარმართოს ისე რომ უზრუნველყოს პრეტენდენტების მიმართ ერთგვაროვანი, არადისკრიმინაციული მიდგომა. ამ მიზნით მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისიამ დანერგოს კონტროლის დამატებითი მექანიზმები და არ დაუშვას კანონშეუსაბამო გადაწყვეტილებების მიღება. მუნიციპალიტეტმა შეისწავლოს კონკრეტული ფაქტები, გამოავლინოს პასუხისმგებელი პირები და გაატაროს მათ მიმართ შესაბამისი ღონისძიებები.

საპროექტო დოკუმენტაციის ხარვეზი და ავანსის გაცემა

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტის მიერ შესყიდული საპროექტო დოკუმენტაცია უნდა იყოს სამშენებლო ნორმებთან და სტანდარტებთან შესაბამისად შედგენილი. ხარისხიანად შედგენილი საპროექტო-სახარჯთაღიცხვო დოკუმენტაცია ხელს უწყობს სამშენებლო სამუშაოების წარმატებით განხორციელებას.

შემსყიდველი ორგანიზაცია სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრავს ხელშეკრულების პირობებს. გამარჯვებულ პრეტენდენტთან მუნიციპალიტეტმა ხელშეკრულება უნდა გააფორმოს სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. მუნიციპალიტეტსა და მიმწოდებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობებში ცვლილება სათანადოს უნდა იყოს დასაბუთებული.

გამოვლენილი გარემოება: 2017 წლის 16 მაისს მერიამ გამოაცხადა ტენდერი, სტადიონის მშენებლობის სამუშაოებზე³⁹. შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებამ შეადგინა 1.71 მლნ ლარი, დღგ-ს გარეშე.

სატენდერო დოკუმენტაციის თანახმად, ანგარიშსწორება მიმწოდებელთან უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად, შუალედური მიღება - ჩაბარების აქტის, ფორმა №2, ფორმა №3, ფარული სამუშაოების აქტისა და დღგ-ს ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე. საბოლოო ანგარიშსწორება კი - სახელშეკრულებო ვადებში წარმოდგენილი, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მიღება - ჩაბარებისა და სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ან/და შესაბამის სფეროში საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული აკრედიტაციის მქონე პირის მიერ გაცემული ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე. სატენდერო დოკუმენტაციით, წინასწარი გადახდის მექანიზმის გამოყენება არ იყო განსაზღვრული.

ტენდერში მონაწილეობა მიიღო ერთმა პრეტენდენტმა - შპს „ელიტა ბურჯმა“, რომელსაც 2017 წლის ივლისში გაუფორმდა ხელშეკრულება, თანხით 1.86 მლნ ლარი⁴⁰. ხელშეკრულების თანახმად სამუშაოების დასრულების თარიღად განისაზღვრა 2017 წლის 31 დეკემბერი. ხელშეკრულების მიხედვით, არ გამოიყენებოდა წინასწარი გადახდის მექანიზმი. 2017 წლის 29 ნოემბრის შუალედური შესრულებული სამუშაოების აქტების თანახმად, მიმწოდებელმა შეასრულა 107.4 ათასი ლარის სამუშაო, რაც აუნაზღაურდა სრულად.

2017 წლის 28 ნოემბერს მიმწოდებელმა მოითხოვა სამუშაოების დასრულების ვადის გადაწევა 2018 წლის 20 აპრილამდე⁴¹. გადაწევის მიზეზად მოიყვანა ის გარემოება, რომ სამუშაოებს აწარმოებდა განახლებული პროექტის მიხედვით⁴². პროექტი განახლდა 2017 წლის სექტემბერში. განახლებულ პროექტში მერიამ გადაიხადა 19.9 ათასი ლარი.

გარდა ამისა, მიმწოდებელმა მოითხოვა დანარჩენი შესასრულებელი სამუშაოების ღირებულების - 1.75 მლნ ლარის მის ანგარიშზე გადმორიცხვა, რისთვისაც წარმოადგენდა საბანკო გარანტიას. აღნიშნული წერილის საფუძველზე, 2017 წლის 15 დეკემბერს მხარეებს შორის გაფორმდა შეთანხმება⁴³, სამუშაოების დასრულების ვადა

³⁹ NAT170005374

⁴⁰ პრეტენდენტმა წარადგინა სატენდერო ფასი 1.58 მლნ ლარი დღგ-ს გარეშე, ხელშეკრულება გაუფორმდა 1.86 მლნ ლარზე, დღგ-ს ჩათვლით

⁴¹ შპს „ელიტა ბურჯის“ 2017 წლის 28 ნოემბრის N340 წერილი

⁴² შპს „ელიტა ბურჯის“ 2017 წლის 13 ნოემბრის N340 წერილი

⁴³ N86

გაგრძელდა 2018 წლის 20 აპრილამდე. ასევე ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილება, რის მიხედვითაც შესაძლებელი გახდა წინასწარი ანგარიშსწორების განხორციელება 1.75 მლნ ლარის ოდენობით, შესაბამისი საბანკო გარანტიის წარმოდგენის გზით. აღნიშნული ეწინააღმდეგებოდა კანონმდებლობის მოთხოვნებს, რადგან სატენდერო დოკუმენტაციით არ იყო გათვალისწინებული წინასწარი ანგარიშსწორების პირობა. 2017 წლის 26 და 27 დეკემბერს მერიამ შპს „ელიტა ბურჯს“, ავანსად გადაურიცხა სულ 1.75 მლნ ლარი.

2018 წლის 20 აპრილს ხელშეკრულებაში შევიდა მორიგი ცვლილება, რის მიხედვით სამუშაოების დასრულების ვადა გაგრძელდა 2018 წლის 29 ივლისის ჩათვლით. შეთანხმების თანახმად, აღნიშნული განაპირობა იმ გარემოებამ, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის კონკრეტული შენიშვნებით ფოთის სტადიონმა უნდა დააკმაყოფილოს უეფას სტანდარტები. შესაბამისად საჭირო გახდა პროექტის კორექტირება.

2018 წლის 30 ივლისს მხარეებს შორის გაფორმდა მორიგი შეთანხმება. ამჯერად, სამუშაოების დასრულების ვადად განისაზღვრა, 2018 წლის 31 ოქტომბერი. ვადის გაგრძელების მიზეზად დასახელდა ის გარემოება, რომ პროექტის კორექტირებამ გამოიწვია დამატებითი სამუშაოების შესრულების საჭიროება. 2018 წლის 5 სექტემბერს მხარეებს შორის განხორციელდა მორიგი შეთანხმება, რის მიხედვითაც დაკორექტირდა ხარჯთაღრიცხვა, სახელშეკრულებო ღირებულება გაიზარდა და შეადგინა 2046.2 ათასი ლარი. 2018 წლის სექტემბრის მდგომარეობით, შესრულებულია 1 023.1 ათასი ლარის სამუშაოები (50%). 2018 წლის ოქტომბრის მდგომარეობით სამუშაოები დასრულებული არ არის.

სტადიონის მშენებლობის გაჭიანურების და დაუსრულებლობის მიზეზი არის პროექტში განხორციელებული ხშირი ცვლილებები. აღნიშნული წარმოშობს რისკს იმისა, რომ პროექტი იყო არაკვალიფიციურად და უხარისხოდ შედგენილი. საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვის შესწავლით გამოვლინდა, რომ სტადიონის მშენებლობის პროექტი მერიამ შეისყიდა შპს „საუკისგან“ 2013 წელს, რაშიც გადაიხადა 110.0 ათასი ლარი. აღნიშნულ საპროექტო დოკუმენტაციას, იმავე წელს ექსპერტიზა ჩაუტარა შპს „ფოთის პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვის ექსპერტიზამ“, რაშიც მერიამ გადაიხადა 3.4 ათასი ლარი. გადამოწმებული იქნა ინფორმაცია აღნიშნული მიმწოდებლების დამფუძნებლების შესახებ. დადგინდა, რომ ორივე ფირმას ჰყავს საერთო

დამფუძნებელი⁴⁴. შესაბამისად, მიმწოდებლები წარმოადგენენ ურთიერთდაკავშირებულ მხარეებს, რაც იძლევა შეფასების გაკეთების საშუალებას, რომ შედგენილი ექსპერტიზის დასკვნა არ ასახავს პროექტის ნაკლოვანებებს. საპროექტო დოკუმენტაციის ნაკლოვანებებზე მიუთითებს ის გარემოებაც, რომ პროექტმა 2015 წელსაც განიცადა კორექტირება. ამდენად, დაგეგმვასა და კონტროლში არსებული სისუსტეების შედეგად, მერიამ შეისყიდა უხარისხო საპროექტო დოკუმენტაცია, რაშიც 2013-2017 წლებში გადაიხადა 133.3 ათასი ლარი.

დასკვნა

ამდენად, სტადიონის მშენებლობის საპროექტო დოკუმენტაცია უხარისხო იყო, რის გამოც მშენებლობა გაჭიანურდა. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულებები და არგუმენტები იმისა, თუ რამ განაპირობა ხელშეკრულების პირობების ცვლილება, რის გამოც განხორციელდა მიმწოდებლისათვის 1.75 მლნ ლარის ავანსად ანაზღაურება. ტენდერის შესწავლით გამოვლინდა, რომ ამ გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობა არ არსებობდა. აღნიშნულს ადასტურებს ის გარემოებაც, რომ ავანსის გაცემიდან 8 თვის განმავლობაში მიმწოდებელს არ ჰქონდა წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოების აქტი. 2018 წლის ოქტომბრის მდგომარეობით კი სამუშაოები არ არის დასრულებული. შესაბამისად, მერიამ დიდი ოდენობით საბიუჯეტო სახსრები ავანსად გასცა დაუსაბუთებლად.

⁴⁴ ზურაბ ჩოჩია, შპს „საუკში“ ფლობდა 33%-იან წილს, ხოლო შპს „ფოთის პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვის ექსპერტიზაში“ - 100%-იან წილს და ამავე დროს იყო ფირმის დირექტორი

საბიუჯეტო პროცესი

ფინანსური რესურსების მართვის ხარვეზები

2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ნაშთმა შეადგინა 1 213.7 ათასი ლარი. მუნიციპალიტეტმა დაგეგმა ნაშთის გამოყენება 1 170.6 ათასი ლარით. 2016 წელს ნაშთის ცვლილებით გამოწვეული ფულადი სახსრების გამოყენებამ (კლებამ) შეადგინა 323.5 ათასი ლარი და წლის ბოლოს დაფიქსირდა ნაშთი 890.2 ათასი ლარი. აღნიშნული ფულადი სახსრებიდან რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერის ნაშთია 668.3 ათასი ლარი⁴⁵, მიზნობრივი ტრანსფერის ნაშთმა - 13.4 ათასი ლარი⁴⁶, ხოლო თავისუფალმა ნაშთმა 208.5 ათასი ლარი შეადგინა.

2017 წელს დაიგეგმა 847.9 ათასი ლარის გამოყენება. მიუხედავად ამისა, ნაშთის ცვლილებით გამოწვეული ფულადი სახსრების დაგროვებამ (მატებამ) შეადგინა 312.3 ათასი ლარი და წლის ბოლოს დაფიქსირდა ნაშთი 1 202.5 ათასი ლარი. აღნიშნული ფულადი სახსრებიდან რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერის ნაშთია 939.6 ათასი ლარი⁴⁷, მიზნობრივი ტრანსფერის ნაშთმა - 12.1 ათასი ლარი⁴⁸, ხოლო თავისუფალმა ნაშთმა 250.8 ათასი ლარი შეადგინა.

დასკვნა

ამდენად, მუნიციპალიტეტს თავისუფალი ნაშთის სახით საკუთარ ანგარიშზე გააჩნია მნიშვნელოვანი თანხები. მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველყო დაუსრულებელი ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტების დაფინანსება.

რეკომენდაცია №5: ფინანსური რესურსების რაციონალური მართვის უზრუნველყოფის მიზნით, მუნიციპალიტეტმა საკუთარ ანგარიშზე არსებული თავისუფალი ფულადი სახსრები მიმართოს სხვადასხვა ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტების განსახორციელებლად ან დაუსრულებელი პროექტების გასაგრძელებლად. ამასთანავე,

⁴⁵ აღნიშნულ თანხაზე მუნიციპალიტეტს გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულებები ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად, რომელთა დასრულება გათვალისწინებული იყო მომდევნო წელს. 2017 წლის 30 იანვარს 42.7 ათასი ლარი დაბრუნებული იქნა ხაზინის ერთიან ანგარიშზე

⁴⁶ 2017 წლის 30 იანვარს დაბრუნებული იქნა ხაზინის ერთიან ანგარიშზე

⁴⁷ აღნიშნულ თანხაზე მუნიციპალიტეტს გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულებები ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად, რომელთა დასრულება გათვალისწინებული იყო მომდევნო წელს. 2018 წლის 22 იანვარს 12.4 ათასი ლარი დაბრუნებული იქნა ხაზინის ერთიან ანგარიშზე

⁴⁸ 2018 წლის 22 იანვარს დაბრუნებული იქნა ხაზინის ერთიან ანგარიშზე

ბიუჯეტი იმგვარად დაგეგმოს, რომ არსებული თავისუფალი ნაშთი დროულად და მაქსიმალურად გამოიყენოს მოსახლეობის სასიკეთოდ.

პრიორიტეტების დოკუმენტის შედგენაში არსებული შეუსაბამოებები

კრიტერიუმი: საბიუჯეტო კოდექსის თანახმად⁴⁹, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების პრიორიტეტების დოკუმენტი არის ადმინისტრაციული ერთეულების განვითარების ძირითადი გეგმა, რომელიც ასახავს ინფორმაციას საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების შესახებ. ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო, მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტს წარუდგენს წარმომადგენლობით ორგანოს. პრიორიტეტების დოკუმენტი უნდა მოიცავდეს: გასული, მიმდინარე, დასაგეგმი საბიუჯეტო წლისათვის და დასაგეგმის შემდგომი სამი საბიუჯეტო წლისათვის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების, ფინანსური და არაფინანსური აქტივებით ოპერაციებისა და ვალდებულებების აგრეგირებულ მაჩვენებლებს.

გამოვლენილი გარემოება: მერია, 2016-2017 წლების ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტების პროექტებთან ერთად, წარმომადგენლობით ორგანოს წარუდგინა მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტებიც. შესწავლით გამოვლინდა, რომ პრიორიტეტების დოკუმენტები არ მოიცავს დასაგეგმის შემდგომი სამი საბიუჯეტო წლისათვის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების, ფინანსური და არაფინანსური აქტივებით ოპერაციებისა და ვალდებულებების აგრეგირებულ მაჩვენებლებს.

დასკვნა

2016-2017 წლების ფოთის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტები არ შეესაბამება საბიუჯეტო კოდექსით გათვალისწინებულ მოთხოვნებს⁵⁰.

ბიუჯეტის დაგეგმვაში გამოვლენილი ნაკლოვანებები

კრიტერიუმი: „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად⁵¹, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტის

⁴⁹ საბიუჯეტო კოდექსის მუხლი 76

⁵⁰ მუხლი 76

⁵¹ მუხლი 23, პუნქტი „ვ“

დაფინანსებაზე მყოფ საბიუჯეტო ორგანიზაციებში⁵² ადმინისტრაციული/საოპერაციო ხარჯები, კერძოდ: „შრომის ანაზღაურების“, „საქონლისა და მომსახურების“ და „სუბსიდიების“, მუხლები უნდა შეადგენდეს არაუმეტეს 2016 წლის საკასო შესრულების მაჩვენებლის 90%-ს. კანონის მიხედვით აღნიშნული მოთხოვნები უნდა დაიცვას მუნიციპალიტეტმა 2017 წლის ბიუჯეტის დაგეგმვისა და შესრულების პროცესში.

გამოვლენილი გარემოება: მუნიციპალიტეტმა 2017 წლის ბიუჯეტის დაგეგმვისას, განსაზღვრა ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ საბიუჯეტო ორგანიზაციებში ადმინისტრაციული/საოპერაციო ხარჯები (სუბსიდია). წარმოდგენილი მონაცემებით, მუნიციპალიტეტმა მის დაფინანსებაზე მყოფ რვა ა(ა)იპ-ს განუსაზღვრა სუბსიდია ჯამში 1 075.3 ათასი ლარი. „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით, მუნიციპალიტეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციებისათვის გასაცემი სუბსიდია, არ უნდა შეადგენდეს წინა წლის საკასო ხარჯის 90%-ზე მეტს. ამ მოთხოვნების გათვალისწინებით მუნიციპალიტეტს რვა ა(ა)იპ-ისათვის უნდა დაეგეგმა სუბსიდია მაქსიმუმ 985.4 ათასი ლარის ოდენობით⁵³. მუნიციპალიტეტმა რვა ა(ა)იპ-ის შემთხვევაში არ გაითვალისწინა კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნები და სუბსიდიის სახით გასცა ზღვრულ ოდენობაზე 89.9 ათას ლარით მეტი. მონაცემები ნაჩვენებია ცხრილ №2-ში.

ცხრილი № 2: მერიის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ/შპს-ის 2016-2017 წწ. ბიუჯეტების დაგეგმვის მაჩვენებლები

N	ა(ა)იპ/შპს-ის დასახელება	2016 წლის საკასო შესრულება	2016 წლის საკასო ხარჯის 90%	2017 წლის გეგმა	გადახრა
1	ა(ა)იპ „სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულება - რაგბის სასპორტო სკოლა“	120.2	108.2	113.0	4.8
2	ა(ა)იპ „არჩილ ხორავას სახელობის სკოლისგარეშე სახელმწიფო სასწავლებელი“	217	195.3	206.0	10.7
3	ა(ა)იპ „თვითმმართველი ქალაქ ფოთის საბიბლიოთეკო გაერთიანება“	125.7	113.1	122.8	9.7
4	ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების ცენტრი“	149.5	134.6	160.0	25.4
5	ა(ა)იპ „თვითმმართველი ქალაქის-ფოთის ზავშვთა ცენტრი“	89.9	80.9	95.0	14.1
6	ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სოციალური კვლევის ცენტრი“	275.3	247.8	263.5	15.7

⁵² გარდა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისა

⁵³ აღნიშნული რვა ა(ა)იპ-ის სუბსიდიური დაფინანსება 2016 წელს შეადგენდა 1094.8 ათას ლარს.

7	ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი“	37.2	33.5	35.0	1.5
8	შპს „ფოთი ქალაქ ტრანსპორტი“	80	72	80	8
სულ		1,094.8	985.4	1,075.3	89.9

დასკვნა

ამდენად, მერიამ არ გაითვალისწინა კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნები. მერიის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებში, 109.4 ათასი ლარით შემცირების ნაცვლად, ადმინისტრაციული ხარჯები შემცირდა მხოლოდ 19.5 ათასი ლარით. სულ ზედმეტად გაწეული ხარჯები შეადგენს 89.9 ათას ლარს.

რეკომენდაცია №6: საჭიროა მერიამ შეისწავლოს ზედმეტად გაწეული ადმინისტრაციული ხარჯების საკითხი და გამოავლინოს შესაბამისი პასუხისმგებელი პირები. მათ მიმართ, ვისი მიზეზითაც დაირღვა კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები, გაატაროს შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებები.

ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შედგენაში არსებული ხარვეზები

კრიტერიუმი: საბიუჯეტო კოდექსის თანახმად⁵⁴, თვითმმართველი ერთეულის საფინანსო ორგანო აღრიცხავს თითოეული საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ გაწეულ გადასახდელებს, რაც მოიცავს ინფორმაციას საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით გადახდის განხორციელების ყველა ეტაპის შესახებ. იგი ასევე აღრიცხავს საბიუჯეტო კლასიფიკაციით გათვალისწინებულ შემოსულობებს.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში მოიცავს ინფორმაციას საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების შედარებას, შესაბამისი პერიოდის გეგმიურ მაჩვენებლებთან.

გამოვლენილი გარემოება: „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით, მუნიციპალიტეტისათვის გათვალისწინებული არ იყო გათანაბრებითი ტრანსფერის გამოყოფა. მუნიციპალიტეტს მიმდინარე ვალდებულებები უნდა დაეფარა საკუთარი შემოსავლებით, კერძოდ საგადასახადო კოდექსით დადგენილი

⁵⁴ საბიუჯეტო კოდექსის მუხლები 84 და 87

გადასახადებიდან მისაღები თანხებით. წარმოდგენილი ინფორმაციით, მუნიციპალიტეტმა 2016 წლის პირველ კვარტალში სრულად ვერ მიიღო დაგეგმილი შემოსავლები, შესაბამისად არ ჰქონდა საკმარისი რესურსი მიმდინარე ვალდებულებების დასაფინანსებლად.⁵⁵ აღნიშნულის გამო, 2016 წლის 25 თებერვალს საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, სარეზერვო ფონდიდან მუნიციპალიტეტს გამოეყო 2 მლნ ლარის უპროცენტო სესხი⁵⁶. გამოყოფილი სესხიდან მუნიციპალიტეტმა აითვისა 1.97 მლნ ლარი. 2016 წლის 28 ივლისს მერიამ მიწერა წერილი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, გამოყენებული სესხის (1.97 მლნ ლარი) მერიის მიმდინარე ანგარიშიდან ჩამოსაწერად და შესაბამის სახაზინო ანგარიშზე აღებული სესხის დასაფარად.

შესწავლით ირკვევა, რომ სესხის აღებისა და დაფარვის ოპერაციები არ არის ასახული 2016 წლის ბიუჯეტის წლიური შესრულების ანგარიშში, შემოსულობებისა და გადასახდელების შესაბამის მუხლებში. ანალოგიურად, 2017 წელს საქართველოს მთავრობის განკარგულებით⁵⁷, მუნიციპალიტეტს გამოეყო 3.8 მლნ ლარის უპროცენტო სესხი. აღნიშნული სესხი მუნიციპალიტეტმა დაფარა მერის 2017 წლის 27 ივლისის და 30 ნოემბრის წერილების საფუძველზე, თუმცა ეს ოპერაციებიც ბიუჯეტის შესრულებაში არ ასახულა.

პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აღნიშნული ოპერაციების ამგვარი წარმოება, სატელეფონო საუბრით იყო შეთანხმებული ფინანსთა სამინისტროსთან. მერიამ ვერ წარმოადგინა რაიმე სახის დოკუმენტური მტკიცებულება იმისა, თუ რატომ არ ასახა სესხის მიღება და დაფარვა ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების ნაწილში.

დასკვნა

ამდენად, 2016-2017 წლების ბიუჯეტების შესრულების ანგარიშებში, მერიამ არ აღრიცხა 5.77 მლნ ლარის სესხის მიღებისა და დაფარვის ოპერაციები. შესაბამისად დაირღვა საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნები⁵⁸.

⁵⁵ პორტიდან საგადასახადო შემოსავლების მობილიზება ხდებოდა მიმდინარე წლის მე-3 კვარტლიდან

⁵⁶ განკარგულება N294

⁵⁷ განკარგულება N200, 2017 წლის 9 თებერვალი და განკარგულება N860, 2017 წლის 4 მაისი

⁵⁸ მუხლი 84 და 87

საბიუჯეტო კლასიფიკაციაში არსებული შეუსაბამოებები

კრიტერიუმი: საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, საქონელი და მომსახურების მუხლში კლასიფიცირდება ისეთი ოპერაციები, რომლებიც წარმოადგენს მიმდინარე ხარჯებს. სუბსიდიებში აღირიცხება საჯარო სამართლის იურიდიულ პირებსა და სხვა სახელმწიფო არაფინანსურ საწარმოებზე (ა(ა)იპ) მიმდინარე და საოპერაციო ხარჯების დასაფინანსებლად გადაცემული თანხები⁵⁹.

გამოვლენილი გარემოება: 2016-2017 წლებში მუნიციპალიტეტმა განახორციელა გზების მოხრეშვის, გამწვანების, რელიგიური და ახალგაზრდული ღონისძიებები, რომელზეც დახარჯა 734.7 ათასი ლარი⁶⁰. წარმოდგენილი 2016-2017 წლების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტების შესრულების ანგარიშების მიხედვით, აღნიშნული ოპერაციები ნაცვლად „საქონელი და მომსახურების“ მუხლისა, კლასიფიცირებულია „სუბსიდიების“ მუხლში. შესაბამისად, არ არის დაცული „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანების მოთხოვნები.

რეკომენდაცია №7: მუნიციპალიტეტის მერიამ საბიუჯეტო პროცესის სრულყოფილად წარმართვის მიზნით დაწერგოს სათანადო კონტროლის მექანიზმები. ამასთან, მიზანშეწონილია მერიამ საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილება და შრომის ანაზღაურებისათვის გათვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნებების საერთო მოცულობის არანაკლებ 1 პროცენტი მიმართოს მოხელეთა პროფესიული განვითარებისათვის.

⁵⁹ „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტო №672 ბრძანება

⁶⁰ მოხრეშვა - 476.4 ათასი ლარი, გამწვანება - 106.0 ათასი ლარი, რელიგიური და ახალგაზრდული ღონისძიებები - 152.3 ათასი ლარი

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება

კანონდარღვევით გაცემული დანამატი

კრიტერიუმი: კანონმდებლობის შესაბამისად, დაწესებულების ნორმალური საქმიანობის გართულების თავიდან არიდების მიზნით, სამსახურში დროებით არმყოფი მოხელის მოვალეობის შესრულება შესაძლებელის დაეკისროს სხვა მოხელეს. აღნიშნულ შემთხვევაში მოხელეს, რომელიც თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისგან განთავისუფლების გარეშე ასრულებს სხვის მოვალეობასაც, ხელფასის გარდა ეძლევა დანამატი არმყოფი მოხელის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით⁶¹. სახელფასო დანამატის გაცემის აღნიშნული წესის მოქმედება არ ვრცელდება მუნიციპალიტეტის მერიის/გამგებლის მოადგილესა და გამგეობის/მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელზე⁶².

გამოვლენილი გარემოება: აუდიტის ობიექტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად 2016 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შესრულება დაეკისრა მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს. წარმოდგენილი მონაცემებით, მერის მოადგილეზე, მერის მოვალეობის შესრულებისათვის გაცემულია სახელფასო დანამატი 6.0 ათასი ლარის ოდენობით. ანალოგიურად, 2017 წელს მერის მოადგილეზე, მერის მოვალეობის შესრულებისათვის გაიცა სახელფასო დანამატი 7.7 ათასი ლარის ოდენობით. სულ 2016-2017 წლებში მუნიციპალიტეტმა მერის მოადგილეებზე, აღნიშნული საქმიანობისათვის დანამატის სახით სულ გაცემულია 13.7 ათასი ლარი⁶³.

კანონმდებლობის მიხედვით, თუ სამსახურში დროებით არმყოფი მოხელის მოვალეობის შესრულება დაეკისრება სხვა მოხელეს, რომელიც თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისგან განთავისუფლების გარეშე, შეასრულებს დაკისრებულ ახალ მოვალეობასაც, ხელფასის გარდა ეძლევა დანამატი არმყოფი მოხელის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით. თუმცა აღნიშნული წესის მოქმედება არ ვრცელდება მერიის/გამგებლის მოადგილეებსა და მერიის/გამგეობის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელზე.

⁶¹ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი. 57-ე მუხლი.

⁶² „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი. 11-ე მუხლი.

⁶³ მერის მოადგილეს, მერის მოვალეობის შესრულება 2016 წელს დაეკისრა დაეკისრა 18 შემთხვევაში, ხოლო 2017 წელს 17 შემთხვევაში.

დასკვნა

მუნიციპალიტეტმა (შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა), მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეებზე კანონმდებლობის დარღვევით გასცა სახელფასო დანამატები⁶⁴. მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შედეგად ბიუჯეტიდან ზედმეტად დაიხარჯა 13.7 ათასი ლარი.

რეკომენდაცია №8: მუნიციპალიტეტის მერიამ გამოავლინოს დანამატის გაცემაზე პასუხისმგებელი პირები და მათ მიმართ გაატაროს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები. მერიამ უზრუნველყოს ზედმეტად გადახდილი თანხების ბიუჯეტში დაბრუნება.

საჯარო მოხელეების უკანონო განთავისუფლება და სასამართლოს გადაწყვეტილებით ანაზღაურებული თანხები

კრიტერიუმი: კანონმდებლობის მიხედვით, შტატების შემცირების მიზნით, საჯარო მოხელის სამსახურიდან განთავისუფლება შესაძლებელია იმ შემთხვევაში თუ დაწესებულების რეორგანიზაციის შედეგად განხორციელდება შტატით გათვალისწინებული თანამდებობის შემცირება⁶⁵.

მუნიციპალიტეტმა სასამართლო გადაწყვეტილების შედეგად, შესაძლებელია სამსახურში აღადგინოს განთავისუფლებული საჯარო მოხელე და აუნაზღაუროს მოთხოვნილი განაცდური (ხელფასი)⁶⁶.

გამოვლენილი გარემოება: 2016 და 2017 წლებში მუნიციპალიტეტის მერმა სასამართლო გადაწყვეტილებების საფუძველზე გამოსცა ბრძანება მუნიციპალიტეტის მერიის განთავისუფლებული 4 მოხელის თანამდებობაზე აღდგენისა და მათთვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესახებ⁶⁷. მუნიციპალიტეტმა, განთავისუფლებული ოთხი პირი აღადგინა თანამდებობაზე და აუნაზღაურა იძულებითი განაცდური თანხით 110.0 ათასი ლარი.

⁶⁴ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი მუხლი 11. (2017 წლის 1 ივლისამდე მოქმედი რეგულაცია)

⁶⁵ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი მუხლი 96, პუნქტი 2. (2017 წლის 1 ივლისამდე მოქმედი რეგულაციის მიხედვით)

⁶⁶ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი მუხლი 127 მუხლი. პუნქტი 5. (2017 წლის 1 ივლისამდე მოქმედი რეგულაციის მიხედვით)

⁶⁷ ფოთის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 11 იანვრის გადაწყვეტილება, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილება, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 06 სექტემბრის გადაწყვეტილება და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება.

აუდიტის ჯგუფის მიერ საკითხის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ 2014 წელს მუნიციპალიტეტში განხორციელდა სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიული ორგანოების რეორგანიზაცია⁶⁸. წარმოდგენილი მონაცემებით, სტრუქტურულ ერთეულებს შეეცვალათ სტატუსი (სახელწოდება), შემცირდა საშტატო ერთეულები, თუმცა არ შეცვლილა მათი ფუნქციური დატვირთვა და უფლება-მოვალეობანი. მუნიციპალიტეტმა შტატების შემცირების გამო, თანამდებობიდან გაანთავისუფლა მერიის სტრუქტურული ერთეულის ოთხი თანამშრომელი⁶⁹.

განთავისუფლებულმა მოხელეებმა სარჩელი შეიტანეს სასამართლოში. წარმოდგენილი მონაცემებით, 2017 წელს სასამართლომ ბათილად ცნო მოხელეთა განთავისუფლების ბრძანება და მუნიციპალიტეტს დაავალა მათი თანამდებობაზე აღდგენა, ასევე იძულებითი განაცდურის ანაზღაურება. სასამართლო გადაწყვეტილებით, რეორგანიზაციად არ შეიძლება ჩაითვალოს საჯარო დაწესებულების ან მისი სტრუქტურული ერთეულის მხოლოდ დაქვემდებარების ან სახელწოდების შეცვლა ან/და საჯარო დაწესებულების სტრუქტურული ერთეულისათვის ახალი ფუნქციის დაკისრება. საჯარო სამსახურის დაწესებულების რეორგანიზაცია არის საჯარო სამსახურის დაწესებულების შიდა სტრუქტურული ან/და ფუნქციონალური გარდაქმნა. საშტატო ერთეული გაუქმებულად ითვლება, როცა ფუნქციური დატვირთვით აღარ არსებობს შესაბამისი შტატის საჭიროება. ახალი საშტატო ერთეულის შემოსაღებად, უნდა განისაზღვროს შტატი, რომელსაც დაეკისრება სხვა უფლება-მოვალეობები ან/და მის დასაკავებლად განისაზღვრება სხვა კრიტერიუმები.

აღსანიშნავია, რომ რეორგანიზაციის პროცესში არ მომხდარა შტატით გათვალისწინებული თანამდებობების შემცირება, სტრუქტურული ერთეულების სტატუსის, დაქვემდებარებისა და ფუნქციონალური დატვირთვის ცვლილება, ამასთან რეორგანიზაციის შედეგად ახლადშექმნილი სტრუქტურული ერთეულები აღიჭურვა რეორგანიზაციამდე არსებული თითქმის იდენტური უფლებებით. შესაბამისად, არ არსებობდა საჯარო მოხელეთა თანამდებობიდან განთავისუფლების კანონისმიერი საფუძველი.

⁶⁸ რეორგანიზაციის საფუძველს წარმოადგენდა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 სექტემბრის № 8/129 განკარგულება.

⁶⁹ ფოთის მერის 2014 წლის 01 ოქტომბრის №527; №532; №553; №561 ბრძანებები.

დასკვნა

ამდენად, მმართველობის პროცესში მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის მიერ კანონმდებლობის შეუსაბამოდ მიღებული გადაწყვეტილებების შედეგად მუნიციპალიტეტმა ბიუჯეტიდან გასწია 110.0 ათასი ლარის დამატებითი ხარჯი.

რეკომენდაცია №9: მუნიციპალიტეტის მერიამ რეორგანიზაციის პროცესი დაგეგმოს და წარმართოს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, რეორგანიზაციის პროცესში გაითვალისწინოს მოსამსახურეთა პროფესიონალიზმი და კომპეტენტურობა და პროფესიული საჯარო მოხელის მობილობის წესი. ასევე მუნიციპალიტეტმა გაატაროს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიმართ, რომელთა კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებების გამო თვითმმართველობამ ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯი გასწია.

საკრებულოს წევრებზე დაუსაბუთებლად ანაზღაურებული თანხები

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს წევრი, გარდა თანამდებობის პირისა, თავის უფლებამოსილებას ახორციელებს სამსახურებრივი საქმიანობისაგან მოუწყვეტლად და უსასყიდლოდ. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის შესაბამისად⁷⁰, მას შეიძლება აუნაზღაურდეს უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები, როგორცაა საკრებულოსა და კომისიის სხდომების, დროებითი სამუშაო ჯგუფების მუშაობაში მონაწილეობის მიღების, ამომრჩეველთან შეხვედრების, ასევე საკრებულოს და საკრებულოს თავმჯდომარის ცალკეული დავალების შესრულებისათვის საჭირო ხარჯები.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად⁷¹, ხარჯის დამადასტურებელ დოკუმენტს წარმოადგენს პირველადი აღრიცხვის დოკუმენტი, სადაც აღინიშნება დოკუმენტის დასახელება, შედგენის თარიღი, სამეურნეო ოპერაციის შინაარსი, რაოდენობა, ფასი,

⁷⁰ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 41.

⁷¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერს №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის“ მე-5 მუხლი

თანხა, სამეურნეო ოპერაციაში მონაწილე მხარეთა დასახელება, დოკუმენტის სწორად გაფორმებისათვის პასუხისმგებელ პირთა ხელმოწერები და სხვა მონაცემები.

გამოვლენილი გარემოება: 2016-2017 წლებში, მუნიციპალიტეტში საკრებულოს არაანაზღაურებადი წევრების ხარჯები გაიცემოდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული წესით⁷². დადგენილი წესის მიხედვით, საკრებულოს სხდომებსა და მის ორგანოთა მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად, ამომრჩეველებთან შეხვედრების, ასევე საკრებულოსა და საკრებულოს თავმჯდომარის დავალებების შესრულებისათვის, საკრებულოს წევრებს (გარდა თანამდებობის პირებისა) ხარჯების ასანაზღაურებლად განესაზღვრათ ზღვრული მოცულობა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობრივი სარგოს მაქსიმალური ოდენობის 15%-ს.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, მუნიციპალიტეტის საკრებულოს არაანაზღაურებად წევრებს 2016-2017 წლებში, ხარჯების ანაზღაურების სახით, მიღებული აქვთ სულ 43.9 ათასი ლარი⁷³. მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა დოკუმენტური მტკიცებულებები საკრებულოს წევრების ხარჯების დასადასტურებლად. თანხების გაცემის საფუძველია საკრებულოს მომართვა საკრებულოს წევრზე ანაზღაურების გაცემის შესახებ. აღნიშნული დოკუმენტები არ აკმაყოფილებს ხარჯის დამადასტურებელი პირველადი აღრიცხვის დოკუმენტის კრიტერიუმს.

თვითმმართველობის კოდექსის შესაბამისად, საკრებულოს არათანამდებობის პირებს, ეძლევათ არა ფიქსირებული გასამრჯელო, არამედ უნაზღაურდებათ უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები. შესაბამისად, თანხის გაცემის საფუძველი უნდა იყოს ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

დასკვნა

მუნიციპალიტეტმა (შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა) 2016-2017 წლებში საკრებულოს არათანამდებობის პირებზე ხარჯების ასანაზღაურებლად 43.9 ათასი ლარი გასცა შესაბამისი დადასტურების გარეშე, საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებული მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების შეუსაბამოდ.

რეკომენდაცია №10: ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიამ არ აანაზღაუროს საკრებულოს არათანამდებობის პირებზე უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული

⁷² „ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ“ მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 28 იანვრის №3/4 დადგენილების მიხედვით

⁷³ 2016 წელს 20.5 ათასი ლარი, 2017 წელს 23.4 ათასი ლარი.

ხარჯები, შესაბამისი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე. მნიშვნელოვანია, რომ საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესი და პრაქტიკა, სრულ შესაბამისობაში იყოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან. აღნიშნული უზრუნველყოფს საკრებულოს წევრის არაანაზღაურებადი საქმიანობის შესახებ, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით დადგენილი პრინციპის დაცვას, ასევე საბიუჯეტო სახსრების დასაბუთებულ ხარჯვას.

სუბსიდია

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტს თავისი საქმიანობის კოორდინაციის მიზნით, უფლება აქვს, დააფუძნოს ა(ა)იპ/შპს, რომელიც ორგანიზებას გაუწევს მისი უფლებამოსილების სფეროში განსახორციელებელ ერთობლივ ღონისძიებებს⁷⁴. იურიდიული პირების შექმნის საფუძველი უნდა იყოს სათანადოდ დასაბუთებული და არგუმენტირებული. თვითმმართველი ერთეული იურიდიულ პირებს აფინანსებს სუბსიდიით, რომელიც უნდა გაიცეს რაციონალურობის პრინციპის დაცვით. შესაბამისი კონტროლის მექანიზმების გამოყენებით, დამფუძნებელი უზრუნველყოფს დაწესებულებების საქმიანობის შეფასებას, აგრეთვე მათი შემოსავლებისა და ხარჯების კონტროლს.

გამოვლენილი გარემოება: 2016-2017 წლებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 27%-ს სუბსიდია შეადგენს. აღნიშნულ პერიოდში სუბსიდიის ხარჯმა მოიცვა 10 831.8 ათასი ლარი. 2016 წელს, მერამ 29 იურიდიული პირის დაფინანსებაზე 5 194.2 ათასი ლარი, ხოლო 2017 წელს - 14 იურიდიული პირის დაფინანსებაზე 4 902.9 ათასი ლარი დახარჯა.

2016 წელს მერამ სუბსიდიით აფინანსებდა 29 იურიდიულ პირს, მათ შორის 27 ა(ა)იპ-ს და 2 შპს-ს⁷⁵. 2017 წელს მუნიციპალიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება სპორტული და სახელოვნებო პროფილის ა(ა)იპ-ების გაერთიანების შესახებ. მიღებული გადაწყვეტილების შედეგად ა(ა)იპ-ების რაოდენობა შემცირდა 13 ერთეულამდე.

ცხრილი № 3. 2016-2017 წლებში 31 იურიდიულ პირზე გაცემული სუბსიდია

ა(ა)იპ	2016		2017		კლების %	
	რაოდენობა	სუბსიდია	რაოდენობა	სუბსიდია		
სპორტული პროფილის ა(ა)იპ	13	1143.2	3	1056.7	რაოდენობა	სუბსიდია
სახელოვნებო პროფილის ა(ა)იპ	7	943.3	3	855.1		
სხვა დანარჩენი ა(ა)იპ	7	2868.7	7	2911.1		
სულ	27	4955.2	13	4822.9	108%	3%

წარმოდგენილი ინფორმაციით, ა(ა)იპ-ების რაოდენობის 2-ჯერ შემცირების მიუხედავად, სუბსიდიურმა დაფინანსებამ წინა წელთან შედარებით მხოლოდ 3%-ით მოიკლო. აღნიშნული გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ა(ა)იპ-ებში დასაქმებულთა რაოდენობა

⁷⁴ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 20, პუნქტი 1 და 2.

⁷⁵ 2016 წელს აფინანსებდა შპს „საფეხბურთო კლუბ კოლხეთი“, 2017 წელს შეწყდა დაფინანსება. ასევე 2016-2017 წლებში დაფინანსდა შპს „ფოთი ქალაქ ტრანსპორტი“

ფაქტობრივად არ შეცვლილა. გაუქმებულ ა(ა)პ-ებში მომუშავე მოსამსახურეები გადანაწილდა ახალ შექმნილ, მსხვილ სპორტულ და სახელოვნებო გაერთიანებებში.

ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების ცენტრი“

2015 წლის 17 მარტს თვითმმართველმა ერთეულმა დააფუძნა ა(ა)იპ „ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების ცენტრი“. წესდების თანახმად, ა(ა)იპ-ს მიზნებს და ამოცანებს მიეკუთვნება: ტურიზმის სფეროში დასაქმებულთა მოღვაწეობის წარმოჩინებისა და პოპულარიზაციის ხელშეწყობა; უცხოური ინვესტიციებისა და დონორი ორგანიზაციების მოზიდვა ქალაქისათვის მნიშვნელოვანი ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის პროექტების განხორციელებისათვის; ქალაქის ტურისტული პოტენციალის და მარშრუტების შესწავლა; ტურისტული ინფრასტრუქტურის ქსელის შექმნა და განვითარება; ტურიზმის განვითარებასთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტისათვის წინადადებების მომზადება.

2016-2017 წლებში მერიამ ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების ცენტრის“ ფუნქციონირებისათვის დახარჯა 309.1 ათასი ლარი⁷⁶. გამოყოფილი სუბსიდიის მნიშვნელოვანი თანხა დაიხარჯა მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურებაზე, სულ 216.2 ათასი ლარი. 2016 წელს ა(ა)იპ-ში დასაქმებული იყო 28, ხოლო 2017 წელს - 21 პირი.

აუდიტის ჯგუფმა მოსთხოვა ა(ა)იპ-ის შესაბამის პასუხისმგებელ პირებს წარმოდგინათ ინფორმაცია და დოკუმენტური მასალები, მათ მიერ 2016-2017 წლებში გაწეული საქმიანობის შესახებ. პასუხისმგებელი პირის განმარტების თანახმად, ა(ა)იპ-მა განახორციელა შემდეგი აქტივობები:

- 1) 2 წლის განმავლობაში ფოთის დელეგაცია, რომელსაც წარმოადგენდა აღნიშნული ა(ა)იპ-იც, ჩართული იყო საერთაშორისო ტურისტული გამოფენა „ექსპო ჯორჯიაში“. ფოთის დელეგაციის მიერ წარდგენილი იყო ტურისტული შინაარსის მქონე ხელოვნების ნიმუშები, საინფორმაციო სტენდი, ბუკლეტები და სხვა;
- 2) ქალაქის კულტურის სამსახურთან ერთად, ტურისტული პროფილის ა(ა)იპ-მა დახმარება გაუწია ქალაქში ჩამოსულ უცხოელ სტუმრებს, მოემიებინათ მათი წინაპრების ისტორიულ-დოკუმენტური მასალები;

⁷⁶ 2016 წელი - 149.5 ათასი ლარი; 2017 წელი - 159.6 ათასი ლარი

) ცენტრის თანამშრომლებმა საინფორმაციო ტური მოუწყვეს ქალაქში ჩამოსულ სტუმრებს, ღვინის მაღაზია „ნენაში“. ა(ა)იპ-ის თანამშრომლები ახორციელებენ ქალაქში მნიშვნელოვანი ობიექტების აღწერას (სასტუმროები, რესტორნები და სხვა).

აღსანიშნავია, რომ 2016 წლიდან ქალაქში ყოველდღიურად ფუნქციონირებს სსიპ „ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის“ საინფორმაციო ტურისტული ცენტრი. საინფორმაციო ცენტრში მისულ ტურისტებს საშუალება აქვთ მიიღონ ინფორმაცია რეგიონში არსებული ტურისტული ადგილებისა და ღირშესანიშნაობების შესახებ, ადგილზე მიიღონ საინფორმაციო ბუკლეტები და რუკები. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტში შექმნილია, მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ტურიზმის სამსახური, რომელსაც დებულებით ევალება ტურიზმის განვითარებასთან დაკავშირებით წინადადებების მომზადება, პროგრამების შემუშავება და მათი განხორციელების კოორდინაცია.

დასკვნა

2016-2017 წლებში ა(ა)იპ „ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების ცენტრის“ მიერ განხორციელებული აქტივობები, დამოუკიდებლად შეედლოდ განხორციელებინა მერიის შესაბამის სამსახურებს. ამასთან მუნიციპალიტეტში არსებობს ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი, რომლის მეშვეობითაც ტურიზმით დაინტერესებულ პირებს საშუალება აქვთ, მიიღონ საკმარისი ინფორმაცია/მომსახურება ქალაქის ტურისტული მარშრუტებისა და ობიექტების შესახებ. შესაბამისად, მუნიციპალიტეტმა ვერ დაასაბუთა, რა დამატებით სარგებელს ქმნის მუნიციპალიტეტისათვის აღნიშნული ა(ა)იპ და რა ობიექტური საჭიროებით არის გამოწვეული მისი ფუნქციონირება.

ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სოციალური კვლევის ცენტრი“

2016-2017 წლებში მუნიციპალიტეტმა ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სოციალური კვლევის ცენტრი“ დააფინანსა 537.7 ათასი ლარით⁷⁷. გამოყოფილი სუბსიდიის მნიშვნელოვანი ნაწილი, 483.3 ათასი ლარი დაიხარჯა მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურებაზე. 2016-2017 წლებში ა(ა)იპ-ში დასაქმებულთა რაოდენობა თვეების

⁷⁷ 2015 წლის 16 მარტს ქალაქ ფოთის მერიამ დააფუძნა ა(ა)იპ „ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის სოციალური კვლევის ცენტრი“

მიხედვით მერყეობდა 52-62 მოსამსახურემდე. წარმოდგენილი ინფორმაციით, ა(ა)იპ-ს წესდებით განსაზღვრული აქვს საქმიანობის წარმართვა სხვადასხვა მიმართულებით. შესწავლით ირკვევა, რომ განსაზღვრული საქმიანობებიდან, ზოგიერთი მიმართულება დუბლირებულია, რადგან აღნიშნულ ფუნქციებს ასრულებს სხვადასხვა სახელმწიფო და ადგილობრივი უწყებები. კერძოდ:

ცხრილი №4: ა(ა)იპ-ის ფუნქციები და დუბლირებები

წესდებით განსაზღვრული ფუნქციები	დუბლირება	ორგანიზაცია
ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების მიმდინარეობის წარდგენა	✓	უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტი
ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობის კავშირის უზრუნველყოფა მერიასა და საკრებულოსთან	✓	უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტი
ადგილობრივი ბიუჯეტის შედგენაში მონაწილეობის მიღება	✓	უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტი
მოსახლეობის რაოდენობის დათვლა, მათი დასაქმებისა და მიგრაციის შესახებ ინფორმაციის მოძიება, წვევამდელთა აღრიცხვა	✓	საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი; მერიის სამხედრო აღრიცხვის სამსახური
უმრავლესობაში ფიზიკურ პირთა უფლებების რეგისტრაციის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მოძიება, დაბადებისა და გარდაცვალების შესახებ სამოქალაქო აქტების მოძიება	✓	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, იუსტიციის სახლი იმუშავებს
ჩასახლებული ეკომიგრანტების, დევნილების რაოდენობისა და მათი საყოფაცხოვრებო პირობებით უზრუნველყოფის მდგომარეობის შესწავლა	✓	გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და დევნილთა სამინისტრო და სხვა
მოსახლეობის ელექტროენერგიით, გაზით, შემთბობა და სასმელი წყლით უზრუნველყოფის მდგომარეობის შესწავლა	✓	მერიის სოციალური სამსახური
სოციალური და ინფრასტრუქტურული ობიექტების მდგომარეობის და მათ სარეაბილიტაციოდ გასატარებელი ღონისძიებების შესწავლა	✓	მერიის ინფრასტრუქტურის სამსახური
სოციალურ საკითხებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაციების შესწავლა	✓	მერიის სოციალური სამსახური

აუდიტის ჯგუფმა მოსთხოვა ა(ა)იპ-ის შესაბამის პასუხისმგებელ პირებს დოკუმენტური მასალები, 2016-2017 წლებში გაწეული საქმიანობის შესახებ. პასუხისმგებელი პირის განმარტების თანახმად, ა(ა)იპ-ის თანამშრომლები ყოველწლიურად ახორციელებენ მოსახლეობის რაოდენობის აღრიცხვას და დათვლას, იხილავენ მოსახლეობიდან შემოსულ ათასობით განცხადებას, საჭიროების შემთხვევაში ამზადებენ დასკვნებს და ხელმოსაწერად წარუდგენენ ტერიტორიულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებს. განცხადებების უმეტესი ნაწილი შემოსულია ბენეფიციართა მიერ სამკურნალო დახმარების თხოვნით. მათი განმარტებით ირკვევა, რომ თანამშრომლები მონიტორინგს უწევენ მიმდინარე ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს, ითვლიან წვევამდელთა რაოდენობას, აღრიცხავენ ქალაქში არსებულ დაწესებულებებს, სამრეწველო, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო ობიექტებს, იუსტიციის სახლისა და საარჩევნო ოლქის

შუამდგომლობის საფუძველზე აზუსტებენ მოსახლეთა მისამართებს. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტმა ა(ა)იპ-ს მიერ გაწეული აღნიშნული საქმიანობის დასადასტურებლად, რაიმე სახის დოკუმენტური მტკიცებულებები ვერ წარმოგვიდგინა.

დასკვნა

ამდენად, ა(ა)იპ „ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის სოციალური კვლევის ცენტრი“ ეწევა დუბლირებულ საქმიანობას. ამასთან დოკუმენტურად ვერ დასტურდება მათ მიერ განხორციელებული რაიმე სახის აქტივობები. მუნიციპალიტეტმა ვერ დაასაბუთა, აღნიშნული ა(ა)იპ-ის საქმიანობით რა დამატებით სარგებელს იღებს და რა აუცილებლობით არის გამოწვეული მისი ფუნქციონირება.

რეკომენდაცია №11: მუნიციპალიტეტის მერიამ შეისწავლოს მის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების მდგომარეობა. განსაზღვროს რამდენად პასუხობს მათი საქმიანობა მუნიციპალიტეტის მიზნებსა და ამოცანებს. მნიშვნელოვანია განხორციელდეს მსგავსი ტიპის ა(ა)იპ-ის საქმიანობით მიღებული სიკეთისა და მათი ფუნქციონირებისათვის დახარჯული სახსრების ანალიზი. საჭიროების შემთხვევაში მუნიციპალიტეტმა უზრუნველყოს მსგავსი ტიპის იურიდიული პირებისა და მასში არსებული საშტატო ერთეულების ოპტიმიზაცია. აღნიშნული ხელს შეუწყობს საბიუჯეტო რესურსების ეკონომიურად და რაციონალურად ხარჯვას.

ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგება

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტი ვალდებულია კანონმდებლობის შესაბამისად⁷⁸, დადგენილ ვადებში მოამზადოს პერიოდული და წლიური ფინანსური ანგარიშგებები, სადაც უნდა აისახოს ინფორმაცია ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

მუნიციპალიტეტი ვალდებულია კანონმდებლობის შესაბამისად⁷⁹, დადგენილ ვადებში ჩაატაროს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ინვენტარიზაცია. დადგენილი წესის შესაბამისად, ინვენტარიზაციას ექვემდებარება ორგანიზაციის ბალანსზე რიცხული აქტივები და ვალდებულებები, აგრეთვე ბალანსის საცნობარო მუხლებში აღრიცხული საოპერაციო იჯარით აღებული ძირითადი აქტივები, პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობები, ხარჯებში ჩამოწერილი ექსპლუატაციაში მყოფი მატერიალური მარაგები, ამორტიზებული ძირითადი აქტივები. ორგანიზაციაში ინვენტარიზაციის ჩატარების მიზნით, ხელმძღვანელის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე, იქმნება საინვენტარიზაციო კომისია. მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, საბიუჯეტო ორგანიზაციაში აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარება სავალდებულოა ყოველწლიურად, საბიუჯეტო წლის ბოლოს, გარდა უძრავი ქონებისა, რომლის ინვენტარიზაცია ხორციელდება 3 წელიწადში ერთხელ მაინც.

გამოვლენილი გარემოება: მერიას 2016-2017 წლებში არ შეუდგენია ორგანიზაციის პერიოდული და წლიური ფინანსური ანგარიშგება. შედეგად ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს არ წარედგინება ზუსტი და სრული ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ფინანსური მდგომარეობის შესახებ. შედეგად, ორგანიზაციაში არ ხორციელდება ფინანსური და არაფინანსური აქტივების, დებიტორ-კრედიტორების, ვალდებულებების, კაპიტალისა და ფულადი სახსრების მოძრაობის, ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების აღრიცხვა, აგრეთვე არ ხორციელდება არაფინანსური აქტივების მიღება-გასაღვლის აღრიცხვა და მასზე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ცვეთის დარიცხვა⁸⁰.

⁷⁸ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანება „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“.

⁷⁹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ დამტკიცების შესახებ“.

⁸⁰ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 25 სექტემბრის №6152 ბრძანება

2016-2017 წლებში მუნიციპალიტეტში არ ჩატარებულა ძირითადი საშუალებების და მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაცია. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტში ფინანსური და არაფინანსური აქტივების დაცულობაზე კონტროლი არ არის სათანადოდ დაწესებული. შედეგად, არსებობს რისკი, რომ შეუმჩნეველი დარჩეს მუნიციპალიტეტის კუთვნილი ქონების დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევები და არ მოხდეს შესაბამისი რეაგირება.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მერიაში ჩატარებული წინა აუდიტის ფარგლებშიც დაფიქსირდა ანალოგიური დარღვევები და კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა, თუმცა მერიის დღემდე არ გამოუსწორებია აღნიშნული ხარვეზები.

საპროცენტო შემოსავლები

2016 წელს მერიამ გამოაცხადა კონკურსი 2017-2019 წლების საბანკო მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით. კონკურსის პირობები გულისხმობდა, რომ პრეტენდენტებს შორის ვაჭრობის კრიტერიუმებად განსაზღვრული იყო:

- 1) თავისუფალ ნაშთზე დასარიცხი საპროცენტო სარგებელი;
- 2) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოციალური პროგრამის (სპორტი, კულტურა, სოციალური დაცვა და სხვა) დაფინანსება.

კონკურსში მონაწილეობა მიიღო 5 პრეტენდენტმა, რომლებმაც წარმოდგინა შემდეგი წინადადებები:

ცხრილი №5: პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი წინადადებები

კონკურსანტის დასახელება	საპროცენტო სარგებელი	სოციალური პროგრამის დაფინანსება (ლარი)
სს „ლიბერთი ბანკი“	6%	180000
სს „საქართველოს ბანკი“	10%	-
სს „ტერა ბანკი“	9%	-
სს „თიბისი ბანკი“	13,2%	-
სს ვითიბი ბანკი“	8%	-

წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით, სს „ლიბერთი ბანკმა“ მუნიციპალიტეტს შესთავაზა 3 წლის მანძილზე⁸¹ სოციალური პროგრამის დაფინანსება, თანხით 180.0 ათასი ლარი (წლიურად 60.0 ათასი ლარი). აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით გამარჯვებულად გამოაცხადდა და ხელშეკრულება გაუფორმდა სს „ლიბერთი ბანკს“.

შესწავლით ირკვევა, რომ 2017 წელს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს საპროცენტო შემოსავლების სახით მიღებული აქვს 139.3 ათასი ლარი. მუნიციპალიტეტი თუ უპირატესობას მიანიჭებდა მაღალ საპროცენტო განაკვეთს და კონკურსში გაიმარჯვებდა ყველაზე მაღალი საპროცენტო განაკვეთის მქონე კონკურსანტი, საპროცენტო შემოსავლების სახით შესაძლებელი იქნებოდა მინიმუმ 79.0 ათასი ლარით მეტი შემოსავლის მიღება (სოციალური პროექტების დასაფინანსებლად გამოყოფილი თანხის გათვალისწინებით).

⁸¹ 2017 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში

მუნიციპალიტეტში ჩატარებული წინა აუდიტის ფარგლებშიც გამოვლინდა ანალოგიური ფაქტი. თუმცა 2017 წლის კონკურსის დროს, მერიის პასუხისმგებელმა პირებმა არ გაითვალისწინეს აღნიშნული გარემოება.

შიდა აუდიტი

კრიტერიუმი: „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, შიდა აუდიტის სუბიექტი ანგარიშვალდებულია დაწესებულების ხელმძღვანელის წინაშე და დაწესებულების სხვა სუბიექტებისგან ფუნქციურად დამოუკიდებელია. შიდა აუდიტის სუბიექტი ფუნქციურად დამოუკიდებელია ასევე შიდა აუდიტის დაგეგმვის, განხორციელებისა და ანგარიშგების პროცესში.

შიდა აუდიტის სამსახურის მიზანია მერიის სტრუქტურული ერთეულების და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების შიდა აუდიტორული შემოწმება; მოსალოდნელი დარღვევების, სამსახურებრივი გადაცდომების პრევენცია, რისკფაქტორების გამოვლენა, ანალიზი და მათი მიზეზების აღმოფხვრის მიზნით შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა.

შიდა აუდიტის სამსახურის რეკომენდაციები უნდა დაეხმაროს ხელმძღვანელობას ორგანიზაციაში ჩამოაყალიბოს ისეთი სისტემები, რომელიც გააუმჯობესებს ფინანსების მართვას, ორგანიზაციის აქტივების დაცვას, ბუღალტრული აღრიცხვის სათანადო წარმოებას და სხვ. რეკომენდაციების დახმარებით ორგანიზაციამ უნდა შეძლოს ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის დანერგვა, რომლითაც შესაძლებელი იქნება ტექნიკური და ფუნქციური ხარვეზების აღმოჩენა, თაღლითობისა და შეცდომების გამოვლენა და პრევენცია.

ორგანიზაციის ხელმძღვანელი, თავის მხრივ, ვალდებულია გაითვალისწინოს შიდა აუდიტის ანგარიშში ასახული რეკომენდაციები და უზრუნველყოს მისი დროული შესრულება.

გამოვლენილი გარემოება: მუნიციპალიტეტში შექმნილია შიდა აუდიტის სამსახური. 2016-2017 წლებში შიდა აუდიტის სამსახურმა სულ ჩაატარა 17 აუდიტორული შემოწმება.

შემოწმებულია მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული 1 სსიპ⁸², 1 შპს, 11 ა(ა)იპ და მერიის 4 სამსახური⁸³.

შიდა აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული აუდიტებით გამოვლენილია სხვადასხვა სახის ნაკლოვანებები, რომელთა გამოსწორების მიზნით ა(ა)იპ/შპს-ებისა და მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებისათვის გაცემულია ზოგადი ხასიათის რეკომენდაციები. თუმცა შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2016-2017 წლებში გაწეული საქმიანობის შედეგად, ვერ გამოვლინდა კონტროლის მექანიზმების ის სისუსტეები და ხარვეზები, რომელიც დაფიქსირდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული აუდიტის შედეგად. კერძოდ, მიმდინარე აუდიტის პერიოდში გამოვლინდა ბიუჯეტის მართვაში არსებული ხარვეზები და კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევები, შესყიდვების მართვაში არსებული ნაკლოვანებები და კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების დარღვევები, ინფრასტრუქტურული ღონისძიებების დაგეგმვის, შესრულებისა და კონტროლში არსებული ხარვეზები და რისკის შემცველი გარემოებები, ფინანსური აღრიცხვა ანგარიშგების მიმართულებით არსებული ნაკლოვანებები და სხვა.

სამსახურის მიერ არ არის გამოვლენილი შიდა კონტროლის სისტემაში არსებული რისკები, მათზე მოქმედი ფაქტორები და არ არის ჩატარებული შესაბამისი ანალიზი. არ მომხდარა მოსალოდნელი დარღვევებისა და სამსახურებრივი გადაცდომების პრევენცია. შიდა კონტროლის სისტემის შეფასებისა და გამოვლენილი რისკების ანალიზის შედეგად, არ არის დაგეგმილი შიდა აუდიტის შესამოწმებელი ობიექტების ნუსხა. აუდიტის სამსახურის მიერ 2016-2017 წლების წლიური ანგარიში, მომდევნო წლის იანვრამდე არ არის წარდგენილი დაწესებულების ხელმძღვანელისათვის. შესაბამისად დარღვეულია მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები⁸⁴.

დასკვნა

ამდენად, მერიის შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობა ვერ უზრუნველყოფდა მერიის ფინანსების მართვის გაუმჯობესებას, მატერიალური ფასეულობების ხარჯვისა და

⁸² ვალერიან გუნიას სახელობის პროფესიული თეატრი

⁸³ 1. მერიის ადმინისტრაციული სამსახური; 2. ჯანმრთელობის, სოციალური უზრუნველყოფის, ვეტერანთა, დევნილთა, გენდერული თანასწორობისა და დასაქმების სამსახური; 3. სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მოზილიზაციის სამსახური; 4. კულტურის, მეგლთა დაცვის, სკოლამდე და სკოლისგარეშე აღზრდის დაწესებულებებთან ურთიერთობის სამსახური.

⁸⁴ „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 24

გამოყენების კანონიერების, მიზნობრიობის დაცვასა და ეფექტიანობის გაზრდის ხელშეწყობას.

რეკომენდაცია №12: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურმა საქმიანობა წარმართოს ისე, რომ უზრუნველყოს თვითმმართველი ერთეულის საქმიანობის გაუმჯობესება არსებული რისკების შეფასებითა და მოქმედ კანონმდებლობასა და მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის დადგენის გზით. ამასთანავე, შეიმუშაოს რეკომენდაციები მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით.

წინა აუდიტის დროს გამოვლენილი დარღვევები

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა წინა წლებში ჩატარა მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი. აუდიტის ანგარიშში დაფიქსირდა სხვადასხვა არსებითი ხასიათის დარღვევა-ნაკლოვანება.

შესწავლით ირკვევა, რომ მუნიციპალიტეტს არ გაუტარებია საკმარისი და შესაფერისი ღონისძიებები აუდიტის ანგარიშში ასახული შემდეგი გარემოებების აღმოსაფხვრელად, კერძოდ:

-) მერიის მიერ 2012-2013 წლებში სამშენებლო სამუშაოების შესასრულებლად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, გაფორმებული ხელშეკრულებების საერთო ღირებულება შეადგენს 6 729.4 ათას ლარს. შესრულებული სამუშაოების ღირებულება მერიის მიერ ანაზღაურებულია ფაქტობრივი დანახარჯების გათვალისწინების გარეშე;
-) მერიის მიერ რამდენიმე შემთხვევაში გადახდილია დღგ ისეთი შესყიდვის განხორციელების დროს, როდესაც ამას არ ითვალისწინებდა კანონმდებლობა, სულ გადახდილი დღგ-ის თანხა შეადგენს 160.9 ათასი ლარი;
-) არასწორად დათვლილი სამუშაოების სავარაუდო ღირებულების შედეგად სხვადასხვა მიმწოდებლებმა მიიღეს არაგონივრულად მაღალი მოგება. კერძოდ. ხუთი ხელშეკრულების ფარგლებში (საერთო ღირებულებით 3715.0 ათასი ლარი), კონტრაქტორებმა სამუშაოების მთლიან შესრულებაზე ხელშეკრულებები გააფორმეს ქვეკონტრაქტორებთან, სხვაობამ ქვეკონტრაქტორებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებსა და მიმწოდებლების მიერ მიღებულ თანხას შორის შეადგინა 432.5 ათასი ლარი.
-) საბანკო მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით მერიის მიერ გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულმა კომერციულმა ბანკმა მერიას შესთავაზა სოციალური პროექტის დაფინანსება 200 ათასი ლარის ფარგლებში და საპროცენტო სახით აუნაზღაურა 276.8 ათასი ლარი. მაშინ როდესაც მომდევნო პრეტენდენტის შეთავაზების მიხედვით მერია საპროცენტო სარგებლის სახით მიიღებდა 2 ჯერ მეტ შემოსავალს;
-) მერიას არ შეუდგენია ორგანიზაციის პერიოდული და წლიური ფინანსური ანგარიშგება;
-) მუნიციპალიტეტში არ ჩატარებულა ძირითადი საშუალებების და მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაცია.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

აუდიტორთა ხელმოწერა:
სახელი, გვარი

გიორგი შურდია
(წამყვანი აუდიტორი)

ირმა ხეცურიანი
(აუდიტორი)

პაატა კუბლაშვილი
(აუდიტორი)

ხელმოწერა



